ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ორშაბათი, 2 ნოემბერი, 2015 №257 (6877) ფასი: 30 თეთრი

პატრიოტთა ალიანსი თინა ხიდაშელის გადადგომას ითხოვს

სკანდალური არჩევნები საგარეჯოში

გვ.2

რეზო ამაშუკელი: „შევაკვდები და ნაციონალებს ცხეში გავუშვებ!“

გვ.4

„არჩევნების გაყალბებაზე რესპუბლიკელები ხელს ღარიბაშვილს შეაწმენდენ“

გიორგი გუგავა: „არჩევნების მოსაგებად „ქართულმა ოცნებამ“ მკვდარი სულები დარაზმა“

„31 ოქტომბერი რეპეტიცია იყო. მთავარი გაყალბება 2016 წელს იქნება“

გვ.3

გვ.4

მამუკა არეშიძე: „ნაციონალებიც ცდილობენ, სააკაშვილს გაემიჯნონ“

რუსული სამგზავრო თვითმფრინავი ისლამისტმა მებრძოლებმა ჩამოაგდეს?

გვ.8

ჯემალ გახოკიძე: „ხელისუფლებას რუსთავი 2-ის ხელში ჩაგდება არ უნდა სჭირდებოდეს“

გვ.3

ISSN 1987-9385

სოსო ცინცაძე: „ივანიშვილს შეეძლო, არაფორმალური მმართველის სტატუსი დაენგრია“



გვ.5

პატრიოტთა ალიანსი თინა ხიდაშელის გადადგომას ითხოვს

მარიამ მჭედლიშვილი

სკანდალური არჩევნები საგარეჯოში

შუალედური არჩევნები, რომლის დროსაც პარლამენტის ორ მაჟორიტარსა და რამდენიმე საკრებულოში გამოკლებულ წევრებს ირჩევდნენ, ხმაურიანი და სკანდალური გამოდგა.

ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა საგარეჯო, სადაც მაჟორიტარობისთვის ერთმანეთს „ქართული ოცნების“ კანდიდატი თამარ ხიდაშელი და საქართველოს პატრიოტთა ალიანსის კანდიდატი ირმა ინაშვილი დაუპირისპირდნენ.

არჩევნებს საგარეჯოში ახლდა მუშტი-კრივი, იარაღიანი ხალხის სიარული, გამგებლების, სხვა მაღალი და დაბალი რანგის მოხელეების დარაზმული მუშაობა საარჩევნო უბნებთან, კანდიდატის პოლიციაში დაბარება, ამომრჩევლის დაშინება, ასევე ნაციონალური მოძრაობის ადგილობრივი კოორდინატორი ქალებისა და ე.წ. კუნთმაგარი ზონდერების აქტივობები.

ნაცმოძრაობის აქტივისტები, რომლებიც უბნებთან იყვნენ მობილიზებული, სახეებს მალავდნენ და ჟურნალისტებთან უხეშობდნენ. ნაციონალების მოულოდნელ გამოჩენას ოპოზიცია იმით ხსნის, რომ ნაცმოძრაობა რესპუბლიკურ პარტიას თავისი გაყალბება-დაშინებაში გამობრძმედილი რესურსით დაეხმარა, რითაც დადასტურდა გავრცელებული ჩანაწერის სიმართლე – უკრაინული ვიკილიქსის თანახმად, სააკაშვილმა ბოკერიას დაავალა, დეხმარონ თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელის ახლობელ და რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელ თამარ ხიდაშელს საგარეჯოში არჩევნების დროს.

სხვა წყაროები ირწმუნებოდნენ, რომ ნაციონალები საგარეჯოში „ოცნების“ კანდიდატის ჩასაძირად ირმა ინაშვილს მისცემდნენ ხმას.

თინა ხიდაშელის გვარი 31 ოქტომბერს ხშირად გაისმოდა. სპა-მ მისი გადადგომაც მოითხოვა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ხმების დათვლის შემდეგ, წინასწარი შედეგებით, ირმა ინაშვილმა 47,48% მიიღო, ხოლო თამარ ხიდაშელმა – 48%. რესპუბლიკელები გამარჯვებას აღნიშნავდნენ.

– კომპეტენტურობამ და პროფესიონალიზმმა აჯობა აგრესიასა და შეუწყნარებლობას, – ასეთი კომენტარი გააკეთა რესპუბლიკელების ერთ-ერთმა ლიდერმა დავით ზურაბიშვილმა.

– ჩვენ ვატარებთ მაღალი სტანდარტის დემოკრატიულ არჩევნებს, – განაცხადა გარემოს დაცვის მინისტრმა გიგლა აგულაშვილმა.

31 ოქტომბრის ღამით გაირკვა, რომ უჯარმის სპეციალურ საარჩევნო უბანში შემოხაზული ბიულეტენების რაოდენობა უბანზე მისული ამომრჩევლების რიცხვს აჭარბებდა.

სპეცუბნის შექმნას ალიანსი ისედაც აპროტესტებდა, ვინაიდან მანამდე ამომრჩეველი უჯარმაში არსებული მუხროვანის ბაზის მხოლოდ 25 სამხედრო მოსამსახურე იყო. შუალედური არჩევნების წინ მათი რაოდენობა 546-მდე ავიდა. ამას დაემატა დისბალანსი შედეგების შეჯამებისას, რაც თავდაცვის მინისტრის საწინააღმდეგო შეძახილების საბაბი გახდა.

უჯარმაში ღამით საარჩევნო უბანთან საპროტესტო აქციაც გაიმართა.

– ირმა ინაშვილი გამარჯვებულია. საგარეჯოელებს წაართვეს არჩევანის უფლება. დარღვევებია სხვა უბნებზეც. თავდაცვის მინისტრი უნდა გადადგეს, – გაისმოდა აქციაზე.

კომისიის ერთი წევრი, რომელიც უჯარმაში შემაჯამებელ ოქმს ხელს დარღვევების გამო არ აწერდა, სერიოზულ ზეწოლას დაექვემდებარა. თვითმხილველების თქმით, კომისიის სხვა წევრი ფანჯრიდან გაიქცა და თან ქაღალდები გაიყოლა. ამ უბნის, ასევე სხვა რამდენიმე უბნის შედეგებს ალიანსი ასაჩივრებს. პარტია არ ეთანხმება შუალედური არჩევნების წინასწარ შედეგებს.

არჩევნების დღეს მონაწილე პარტიებს შორის არაერთი ურთიერთბრალდება გაისმა.

მაგალითად, რესპუბლიკელები ირწმუნებოდნენ, რომ პატრიოტთა ალიანსის სასარგებლოდ აგიტაციას ეწეოდნენ შეიარაღებული პირები. გიგლა აგულაშვილის სიტყვებით, შეიარაღებული ხალხი გადაადგილდებოდა და პროვოკაციის მოწყობას აპირებდა.

მეორე მხარემ კატეგორიულად უარყო შეიარაღებულ პირებთან კავშირი. თავის მხრივ, საარჩევნო უბნებთან ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება და მოსახლეობაზე ზეწოლა უარყვეს რესპუბლიკელებმა. თამარ ხიდაშელმა აღნიშნა, რომ გამგებლების ყოფნა უბნებთან და აქტიურობა მათი ინიციატივის შედეგი არ იყო.

პატრიოტთა ალიანსის წარმომადგენლები ყურადღებას ამახვილებდნენ რესპუბლიკურ პარტიაზე და არა მმართველ კოალიციაზე და ცდილობდნენ ერთსქესიანთა ქორწინების თემის წამოწევას, რესპუბლიკელების მომხრეები კი ამომრჩეველს არწმუნებდნენ, რომ ირმა ინაშვილი რუსეთის აგენტია.

ეს ფრაზა ალიანსის ახალგაზრდული ფრთის ლიდერმა თარხან გასვიანმაც მოისმინა გიორგიწმინდაში, რასაც მოჰყვა ხელჩართული ჩხუბი, რის გამოც გამგებელი გიორგი ჭიაბერაშვილი პოლიციაში დაკითხვაზე იმყოფებოდა.

თარხან გასვიანს მოგვიანებით კიდევ უფრო სასტიკ მუშტი-კრივში მოუხდა მონაწილეობა. ის ხუთ მეგობართან ერთად იორმუღანლოში მივიდა. აზერბაიჯანულ სოფლებში, თვითმხილველების ცნობით, უხეში დარღვევები იყო. ამომრჩევლებს აზერბაიჯანულ ენაზე დაუფარავად მოუწოდებდნენ, 41 ნომერი შემოეხაზათ, ამასთან, ბევრს ემუქრებოდნენ, რომ მიწის ნაკვეთებს არ გაუფორმებდნენ. ამ სოფლებში მობილიზებული იყვნენ მარნეულის რაიონის გამგეობის წევრები.

იქ მისულ გასვიანსა და მის თანმხლებ პირებს 25 კაცი დაესხა თავს. როგორც გაირკვა, მათი უმრავლესობა მოჭიდავე იყო, ერთ-ერთი მათგანი კი – თამარ ხიდაშელის მეუღლე, რომელიც გარემოს დაცვის მინისტრ აგულაშვილის მოადგილეა.

თავად აგულაშვილმა საარჩევნოდ შვებულება აიღო. საგარეჯოელების მტკიცებით, მთავარი გარემოს დამცველი ამომრჩეველს შეშასაც შეჰპირდა.

არჩევნების დღე საგარეჯოში იმითაც იყო გამორჩეული, რომ დააკავეს და თბილისის საბურთალოს რაიონის პოლიციაში დაკითხვაზე გამოიძახეს ჩაილურის საკრებულოს წევრობის კანდიდატი პატრიოტთა ალიანსიდან ამირან საგინაშვილი, პოლიციის განმარტებით – ძველ საქმესთან დაკავშირებით. იგი გვიან საღამოს გამოუშვეს.

დარღვევები დაფიქსირდა მარტვილშიც. სპას ერთ-ერთ ლიდერ ადა მარშანიას ინფორმაციით, მარტვილში მოსყიდვის ფაქტები არჩევნების წინა დღეს და შემდეგაც დაფიქსირდა. გარდა ამისა, შეინიშნებოდა სხვა რაიონებიდან ამომრჩეველთა ჩამოყვანა ხმის მისაცემად. იქაც საარჩევნო უბნებთან დარაზმული იყვნენ ჩინოსნები.

მარტვილში „ქართული ოცნების“ კანდიდატმა სოსო დანელიამ დიდი უპირატესობით გაიმარჯვა.

ირმა ინაშვილი 8 ნოემბრიდან საპროტესტო აქციებს იწყებს

საგარეჯოს მაჟორიტარობის კანდიდატი ირმა ინაშვილი ხელისუფლებას შუალედური არჩევნების გაყალბებაში ადანაშაულებს. პატრიოტთა ალიანსის ლიდერი გამარჯვებაში დარწმუნებულია და 8 ნოემბრიდან საპროტესტო აქციებს აანონსებს.

ირმა ინაშვილი:

– ჩვენ ღირსეულად მოვიგეთ ეს არჩევნები. არჩევნებში სერიოზული დარღვევებია დაფიქსირებული და ამ ყველაფერს სასამართლოს გზით გავაპროტესტებთ, მაგრამ არსებობს მესამე გზაც – 12 წლის შემდეგ მე და ჩემი თანამოაზრეები ისევ ვუბრუნდებით რუსთაველის ძეგლს და ისევ ვამაგრებთ საპროტესტო კერას რუსთაველის ძეგლთან. ჩვენ ვიწყებთ პერმანენტულ აქციებსაც და, ამავდროულად, ვგეგმავთ ერთ დიდ აქციას 8 ნოემბერს. ეს იქნება პერმანენტული აქციების დასაწყისი.

ნიუბოსტი

დავით უსუფაშვილი: „ჩვენი ძალა კოალიციურ ერთობაშია“

– ჩვენი ძალა კოალიციურ ერთობაშია – ცალკ-ცალკე ნურც ერთ პარტნიორს ნუ გვექნება 2016 წლის არჩევნებში განსაკუთრებული წარმატების ილუზიები. მადლობა ირმა ინაშვილს სასარგებლო „ტესტ-მატჩისთვის“, მათ შორის კოალიციის სიმტკიცის ტესტისთვის, – აცხადებს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი.

უსუფაშვილი საგარეჯოში ჩატარებულ პარლამენტის შუალედურ არჩევნებს „ფეისბუქით“ გამოეხმაურა.

– ჩემი აზრით, საგარეჯოს არჩევნებიდან რამდენიმე მკაფიო გზავნილი მივიღეთ „ქართულ ოცნებაში“:

1. ამომრჩეველი რაც უფრო თავისუფალია, მით უფრო მომთხოვნი და არაერთგვაროვანია, ამიტომ მეტი შრომა, მეტი უშუალო კომუნიკაცია და მეტი პოლიტიკური ინოვაციაა საჭირო მომავალ, კიდევ უფრო თავისუფალ და კონკურენტულ არჩევნებში წარმატებისთვის.

2. ნაციონალური მოძრაობა აღარ არის ერთადერთი ანგარიშგასაწევი ოპოზიციური ძალა, ამიტომ მხოლოდ მათთან ოპონირებით მომავალ არჩევნებში ფონს ვეღარ გავალთ და შესაძლოა, ამით დასახული მიმართულებით ქვეყნის განვითარებაც შევაფერხოთ.

3. ძლიერი კონკურენტი რამდენადაც რთული დასამარცხებელია, იმდენადვე სასურველი სპარინგ-პარტნიორია, ამიტომ მადლობა ირმა ინაშვილს სასარგებლო „ტესტ-მატჩისთვის“ (მათ შორის, კოალიციის სიმტკიცის ტესტისთვის...).

4. ჩვენი ძალა კოალიციურ ერთობაშია, ამიტომ ცალკ-ცალკე ნურც ერთ პარტნიორს ნუ გვექნება 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში განსაკუთრებული წარმატების ილუზიები.

5. თუ მანამდე თავად ვერ შევიცვლებით, ერთი წლის შემდეგ ამომრჩეველი შეგვცვლის, ამიტომ დაუყოვნებლივ უნდა შევთანხმდეთ ყველაფერზე და დავიწყოთ იმის კეთება, რაც ვიცით, რომ გასაკეთებელი გვაქვს კოალიციაშიც და პარტიებშიც“, – წერს დავით უსუფაშვილი.

ინტერპრესნიუსი

ძმები ყარამანიშვილები: „რუსთავი 2-ს ვერ წაგვართმევენ!“

სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-ის წილის 91%-ის მფლობელები ლევან და გია ყარამანიშვილები ტელევიზიის გარშემო მიმდინარე პროცესებზე საგანგებო განცხადებას ავრცელებენ.

– ამ განცხადების გაკეთებას გვაიძულებს ის უკანონობა, უსამართლობა და ძალადობა, რომელიც საქართველოს ხელისუფლების მიერ რუსთავი 2-ის ხელში ჩაგდების მიზნით ხორციელდება. ეს ძალადობა ლოგიკური გაგრძელებაა იმ კამპანიისა, რომელსაც ხელისუფლება უკვე 3 წელია, მიზანმიმართულად ახორციელებს რუსთავი 2-ის წინააღმდეგ თავისუფალი სიტყვის შესაზღუდად და კრიტიკული აზრის ჩასახშობად, – ნათქვამია განცხადებაში.

ძმები ყარამანიშვილები იხსენებენ ზეწოლას სატელევიზიო რეიტინგების მზომავ კომპანიაზე, ფარული კამერების აღმოჩენას ტელეკომპანიაში, ტელევიზიის გენერალური დირექტორის დაპატიმრებას აბსურდული ბრალდებით, სარეკლამო ბაზრის შეზღუდვას, ტელეკომპანიის გენერალური დირექტორის მოსყიდვის მცდელობასა და პირადი ცხოვრების ამსახველი კადრებით შანტაჟსა და მუქარას ოჯახის წევრების მიმართ.

– ნიკა გვარამია, რომელიც კომპანიის ხელმძღვანელად შევარჩიეთ მენეჯერული გამოცდილებისა და იურიდიული კვალიფიკაციის გათვალისწინებით, სრულად ამართლებს ჩვენს მოლოდინს და პირნათლად ასრულებს დირექტორის მოვალეობას, – აღნიშნავენ ძმები.

მათი თქმით, რუსთავი 2 უპირობო ლიდერია ქართულ ტელესივრცეში. სარედაქციო პოლიტიკას თავად ტელევიზია განსაზღვრავს ჩვენი საერთო ევროატლანტიკური ფასეულობების ფარგლებში, რომელთაგან ტელევიზიას არასდროს გადაუხვევია.

– დიახ, რუსთავი 2 კრიტიკული ტელევიზიაა. ვინ იცის, გაშუქდებოდა თუ არა საყდრისის, პანორამა თბილისის, ეკონომიკური კრიზისისა თუ საზოგადოებისთვის აქტუალური სხვა თემები, რომ არა რუსთავი 2. სწორედ ამიტომ უნდა ტელევიზიის ხელში ჩაგდება ხელისუფლებას, – ნათქვამია განცხადებაში.

ძმები ყარამანიშვილები მიიჩნევენ, რომ ხელისუფლებას სურს, რუსთავი 2 მაამებლურ მედიასაშუალებად აქციოს და ქვეყნის ფაქტობრივი მმართველის საყვარელ ანტიდასავლურ მედიასაშუალებებს დაამსგავსოს.

– ჩვენი პოზიციის სამართლებრივი სიმყარე აშკარაა ყველა კეთილსინდისიერი ადამიანისთვის, მაგრამ საკითხს აქვს სუფთად პრაგმატული მხარეც. დღეს თითოეულმა მოქალაქემ უნდა გადაწყვიტოს, რა ჯობია უშუალოდ მისი და მისი ოჯახის მომავლისთვის – ისეთი რუსთავი 2, როგორიც გვაქვს დღეს, თუ ისეთი, როგორადაც ხელისუფლებას სურს, აქციოს, – აღნიშნულია განცხადებაში.

ძმები ყარამანიშვილები დარწმუნებული არიან, რომ როგორც უნდა დამთავრდეს ამ ეტაპზე კლასიკური რუსული რეიდერული სტილის შეტევა, საბოლოოდ რუსთავი 2-ს საფრთხე არ ემუქრება.

– იმ შემთხვევაშიც კი, თუ თამაზ ურთმელიძე მიიღებს წინასწარ დაანონსებულ უკანონო გადაწყვეტილებას, ადრე თუ გვიან ჩვენი საკუთრების უფლება აღდგება – ჩვენ ვერ წაგვართმევენ რუსთავი 2-ს, ქვეყანას კი შეიძლება წაართვან წარმატებული მომავლის შანსი. მადლობა ყველას, ვინც დგას ტელეკომპანიის გვერდით. თქვენ გვიცავთ ჩვენ და ამით იცავთ საკუთარ მომავალს, – ნათქვამია განცხადებაში.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

გიორგი გუგავა: „არჩევნების მოსაგებად „ქართულმა ოცნებამ“ მკვდარი სულები დარაზმა“

შორენა მარსაგიშვილი

რა სარგებლობა მოუტანა ქვეყანას 31 ოქტომბრის შუალედურმა არჩევნებმა, რატომ უხარიათ ნაცებს ქოცის გამარჯვება, რა შეცდომა დაუშვა პატრიოტთა ალიანსმა, რას უნდა ველოდოთ 2016 წლის არჩევნებზე, რა დოკუმენტი აახლა ამერიკელ კონგრესმენებს ნათელაშვილმა? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი გიორგი გუგავა ესაუბრება.

„31 ოქტომბერი რეპეტიცია იყო. მთავარი გაყალბება 2016 წელს იქნება“

გიორგი გუგავა:

– ერთი ამბავია ატეხილი, ამან არჩევნები გააყალბა, იმან ნასვამი მხარდამჭერები მიიყვანაო. ჩემთვის მთავარი სხვა მომენტია – შუალედურ არჩევნებზე ძალიან ცოტა ხალხი მივიდა და ეს იმ დროს, როცა ხელისუფლებამ თავის ხელთ არსებული ყველა რესურსი გამოიყენა. რეალურად არჩევნები ჩაუვარდათ და მხოლოდ მანიპულაციებით აიყვანეს ამომრჩეველი 34%-მდე.

ვიღაცა ამ არჩევნების შედეგებით უკმაყოფილო დარჩა. „ქართული ოცნების“ წარმომადგენლის გამარჯვება არც ჩვენ გაგვხარებია, მაგრამ ამისგანაც არის პოზიტივი.

– რა პოზიტივზე საუბრობთ, პატონო გიორგი?

– 31 ოქტომბრის შუალედური არჩევნებით ხელისუფლებამ დაადასტურა, რომ სამართლიანი არჩევნების ჩატარებას არ აპირებს. ხელისუფლების შესანარჩუნებლად ისინი მზად არიან, ყველაფერზე წავიდნენ. სწორედ ამიტომ ებრძვიან რუსთავი 2-ს.

– რუსთავი 2-ის წინააღმდეგ ლეიბორისტებიც ხშირად აკეთებდით მწვავე განცხადებებს.

– ამას არ უარვყოფთ. ახლა ჩვენ რუსთავი 2-ს კი არა, თავისუფალ მედიასა და განსხვავებულ აზრს ვიცავთ. „ქართული ოცნებისთვის“ ყველა ტელევიზია და გაზეთი, სადაც განსხვავებული მოსაზრებები ფიქსირდება, მიუღებელია. ნათქვამია, ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო. ამათაც ჩაბნელებული მედიაგარემო უნდათ. ასეთ ვითარებაში უფრო იოლად გააყალბებენ არჩევნებს. არჩევნების გაყალბებას რომ გეგმავენ, ეს 2 დღის წინაც დადასტურდა.

მიკვირს იმ ხალხის, რომლებიც ამ არჩევნების შედეგებით ხარობენ. დაიჯერეთ, სასიხარულო არაფერია, თუ იმას არ ჩავთვლით, რომ ხელისუფლების ზრახვები გაიშიფრა.

– გახარებული ხალხი ახსენეთ და ნაციონალებს რატომ უხარიათ „ქართული ოცნების“ კანდიდატის გამარჯვება?

– მათი სიხარულის მიზეზს ვერ ავხსნი, იმიტომ, რომ ნაციონალი არ ვარ. თუ გავითვალისწინებთ, რომ ქოცები და ნაცები ერთნი არიან, მათი სიხარული არ მიკვირს. ქვეყანას კი სასიხარულოდ სულაც არა აქვს საქმე.

გული ძალიან მწყდება, რომ ამ ქვეყანაში ნორმალური არჩევნების ჩატარებას ვერ ვეღირსეთ. შეიცვალა ეპოქები და ხელისუფლებები, მაგრამ არჩევნების გაყალბება იმავე მეთოდებით ხდება. ახლა ქოცები ეშმაკობენ და ცდილობენ, ეს გაყალბება სხვას დააბრალონ.

– ვის სხვას?

– ვის და რესპუბლიკელებს. ისე უჭირავთ თავი, თითქოს საგარეჯოს შედეგები მხოლოდ იმათ გააყალბეს. ტელეეკრანებთან ისინი ჩანდნენ, მაგრამ მთელი „ოცნება“ გარეული იყო გაყალბებაში. ახლა ტყუილად ცდილობენ, ხელი რესპუბლიკელებს შეაწმინდონ.

რესპუბლიკელები ჩაძირული ძალა იყო და, ივანიშვილი რომ არ მოსულიყო, საერთოდ გაქრებოდნენ. იმან ესენი დაიპურა, პარლამენტში შეიყვანა და თანამდებობებიც დაურიგა. მათ ერთად დამართეს ქვეყანას მრავალი უბედურება, წინ კიდევ უარესი გველოდება. ასე რომ, კეთილი ინებოს ხელისუფლებამ და ამ გაყალბებაზე პასუხი აგოს.

– რესპუბლიკელებს არ უნდა მოეთხოვოთ პასუხი, თუ არჩევნების გაყალბება დაუმტკიცდათ?

– არჩევნები გაყალბებულია და ამაზე პასუხი, პირველ რიგში, ბიძინა ივანიშვილმა უნდა აგოს. რესპუბლიკელები რა ხვითოებიც არიან, ხალხმა კარგად იცის, მაგრამ მთავარი დამნაშავე მაინც ყოფილი პრემიერია. რესპები მხოლოდ და მხოლოდ მისი მითითებების შემსრულებლები არიან.

– გინდათ თქვათ, რომ ივანიშვილმა მოსთხოვა რესპუბლიკელებს, ასე მოიქეცითო?

– რა მნიშვნელობა აქვს, ვინ დაავალა, ღარიბაშვილმა თუ ივანიშვილმა? რესპები სახელისუფლებო ძალაა და მათ ქმედებაზე მთელმა ხელისუფლებამ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა.

შუალედური არჩევნები რომ გაყალბდებოდა, ეს კარგად ვიცოდით და ამიტომ მივიღეთ სათანადო ზომები.

– რა ზომებზე საუბრობთ?

– ოპოზიციური პარტიების დიდ ნაწილთან ერთად ჩვენ ამ არჩევნებს ბოიკოტი გამოვუცხადეთ. პატრიოტთა ალიანსიც ჩვენ გვერდით უნდა დამდგარიყო, ახლა ვაება და თავში ხელის შენა დაგვიანებულია. ისინი ქოცებმა არჩევნების „გასაპრავებლად“ გამოიყენეს.

ყველა ერთად რომ დავმდგარიყავით, დარჩებოდნენ ქოცები მარტო და, რა არჩევნებსაც ჩაატარებდნენ, ვნახავდით. ახლა ვაებით ვერაფერს შევცვლით და ჯობია, ერთად გამოვუცხადოთ ბრძოლა ამ რეჟიმს, რომელიც 2016 წელს არჩევნების შედეგების მოპარვას აპირებს. ჩემთვის ესაა მთავარი და არა ის, ვინ რა როლს შეასრულებს გაყალბებაში.

– ვთქვათ, საგარეჯოში მართლაც გააყალბეს არჩევნები. რატომ გგონიათ, რომ 2016 წელს იმავეს გააკეთებენ?

– კი არ მგონია, დარწმუნებული ვარ. არჩევნების გაყალბებას თუ არ გეგმავენ, რატომ ცდილობენ ყველა ტელევიზიაზე კონტროლის დამყარებას? რატომ ამბობენ უარს საარჩევნო რეფორმის გატარებაზე? რატომ არ ეხებიან პოლიტიკის მაფიოზურ-სინდიკატურ ჯგუფს – მაჟორიტარებს? არჩევნების გასაყალბებლად ყველაფერს გააკეთებენ. ამის გაკეთება იოლი არ იქნება, მაგრამ შეეცდებიან. ეს მათთვის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია.

– სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი რატომ არის?

– გაყალბების გარეშე არჩევნებს ვერ მოიგებენ. ხელისუფლების მიღმა როცა დარჩებიან, მოპარულ მილიონებსა და სხვა უბედურებებზე მოუწევთ პასუხისგება. გეუბნებით, ეგენი ყველაფერზე წავლენ. 31 ოქტომბერი რეპეტიცია იყო. დიდი გაყალბება 2016 წელს იქნება.

– ამ არჩევნებსაც ბოიკოტს ხომ არ გამოუცხადებთ?

– საჭიროების შემთხვევაში ბოიკოტი უნდა გამოვუცხადოთ, მანამდე კი ერთიანი ძალებით უნდა ვიბრძოლოთ საარჩევნო კანონმდებლობის შესაცვლელად. ყველა ოპოზიციურ პარტიას მოვუწოდებ, ამ მიმართულებით ვითანამშრომლოთ.

– ოპოზიციური პარტიები ერთმანეთს ვერ იტანთ და როგორ უნდა ითანამშრომლოთ?

– საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლის მიზნით უნდა ვითანამშრომლოთ. ჯვრისწერას კი არ ვაპირებთ, ერთმანეთის ატანა აუცილებელი რომ იყოს. ერთად თუ დავდგებით, ხელისუფლება იძულებული გახდება, უკან დაიხიოს.

ამის პარალელურად, ჩვენ ვაგროვებთ 300.000 ხელმოწერას, რათა საკონსტიტუციო სასამართლოს მივმართოთ და ასე გავაუქმოთ მაჟორიტარული სისტემა. ამ ამბით ამერიკელებიც დაინტერესდნენ.

– იმათ საიდან გაიგეს ამის შესახებ?

– ცოტა ხნის წინ ჩვენი პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი ამერიკაში იმყოფებოდა, სადაც 20 კონგრესმენსა და სენატორს შეხვდა. აშშ-ის პოლიტიკურ ელიტას მან რეზოლუციის პროექტი წარუდგინა, სადაც საუბარია საარჩევნო სისტემის რეფორმის გატარებისა და მაჟორიტარული სისტემის გაუქმების აუცილებლობაზე.

ვისაც არ სჯერა, რომ ხელისუფლება არჩევნების გაყალბებას აპირებს, ერთ მაგალითს მოვუყვან და დასკვნები ამის შემდეგ გააკეთონ: ცესკოს ოფიციალური მონაცემებით, ქუთაისში რეგისტრირებულია 155.000 ამომრჩეველი. მეორე სტრუქტურის, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ცნობით, ქუთაისში 144.000 მცხოვრებია.

– რანაირად შეიძლება, ამომრჩეველი უფრო მეტი იყოს, ვიდრე მცხოვრები?

– ეგ ხელისუფლებას უნდა ვკითხოთ. სხვა რეგიონებშიც იგივე სიტუაციაა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნების მოსაგებად უკვე დარაზმა მკვდარი სულები. სხვანაირად ვერაფრით ახსნი, რომ ამომრჩეველი უფრო მეტია, ვიდრე მცხოვრები.

თქვენი გაზეთის საშუალებით კიდევ ერთხელ მოვუწოდებ პარტიებს, ამ უკანონობის წინააღმდეგ გავერთიანდეთ. საარჩევნო გარემო თუ არ შეიცვალა, ისევ ქოცები მოვლენ ხელისუფლებაში, ქვეყნის განვითარების პერსპექტივა იქნება შავბნელი, ჩვენ კი ივანიშვილის მონებად გადავიქცევით.

ჯემალ გახოკიძე: „ხელისუფლებას რუსთავი 2-ის ხელში ჩაგდება არ უნდა სჭირდებოდეს“

შორენა კოწოწაშვილი

ეროსი კიწმარიშვილს ვიცნობდი. მისგან თვითმკვლელობა ცოტა მოულოდნელი იყო. ვიფიქრე, ეს ის კაცი არ არის, თვითმკვლელობამდე მისულიყო-მეთქი. მაგრამ ჯერ გამოძიებას მტკიცებულება არ აქვს, საპირისპირო ამტკიცოს, რომ ის მოკლეს

მთავრობის რომელ არასწორ ნაბიჯებზე აგებს ნაცმოძრაობა თავის სტრატეგიას, არის თუ არა ნაციონალების აქტივობა მთავრობის გადადგომაზე გათვლილი, რისი საფრთხეა პანკისში, რის გამო დაგვცინიან უცხოეთში და რა ხარვეზებია ქვეყნის უსაფრთხოების კუთხით? – ამ საკითხების ირგვლივ „ახალ თაობას“ უშიშროების ყოფილი მინისტრი ჯემალ გახოკიძეს ესაუბრა.

– ბატონო ჯემალ, როგორც ყოფილი უშიშროების მინისტრი, როგორ უყურებთ შექმნილ ვითარებას, მართლაც იკვეთება სამოქალაქო დაპირისპირების, ომის სუნი?

– ასეთ მძიმე შეფასებაზე ვერ დაგეთანხმებოდით, რასაც სამოქალაქო ომი და დაპირისპირება ჰქვია. სიტუაცია კი რთულია, რასაც სჭირდება ხელისუფლების მხრიდან სწორი გადაწყვეტილებების მიღება. პატარა შეცდომამ, შეიძლება, ზუსტად ის გამოიწვიოს, რაზეც ვსაუბრობდით.

სამწუხაროდ, არიან პოლიტიკური ძალები საქართველოშიც და მის გარეთაც, რომლებიც აქტიურობენ, რათა შეიქმნას რეალური საბაბი ქვეყანაში არეულობის დასაწყებად. ავიღოთ თუნდაც რუსთავი 2-ის საქმე. ბევრი რთული პერიოდი გავიარე, რუსთავი 2-ის მიმართაც, მაგრამ ასეთი მწვავე სახით ამ თემის წამოწევა არასდროს ყოფილა.

– ქვეყნის გარეთ არსებულ პოლიტიკურ ძალებს, რომლებსაც აქ არეულობა სურთ, დასაყრდენი ქართულ პოლიტიკაშიც აქვთ?

– აქვთ, რა თქმა უნდა. ნაციონალური მოძრაობა ცდილობს, ხელისუფლებაში მყოფი „ქართული ოცნება“ წარმოაჩინოს იმ ძალად, რომელსაც ქვეყნის მართვა არ შეუძლია. ეს რას ნიშნავს? – ხელისუფლების შეცვლას.

– რანაირად შეცვლიან ხელისუფლებას?

– ვერ ვიტყვი, რომ ავტომატებს დაიჭერენ და ხელისუფლებას ასე შეცვლიან, მაგრამ ყველაა მოწადინებული, რიგგარეშე არჩევნები ჩაატარონ, მთავრობა გადადგეს და კრიზისი შეიქმნას პრეზიდენტს, მთავრობასა და პარლამენტს შორის ანუ არის მშვიდობიანი გზით ხელისუფლების შეცვლის ყველანაირი მცდელობა.

აბა, რას ჰგავს დღევანდელი დამოკიდებულება, ერთი მხრივ, პრეზიდენტის, მეორე მხრივ, პარლამენტისა და მთავრობის? შეიძლება, ამდენი გადი, გამწვავებული სიტუაცია სიკეთისკენ წამეყვანა. დღეს ამას ვერ ვხედავ. ვერაფრით ავხსენი, რატომ უნდა შეხვედროდა პრეზიდენტი ქიბარ ხალვაშს. ვინ არის ხალვაში? – ერთი მომჩივანი სასამართლოში. რატომ ვწევთ ამ დონეებს?

ჯემალ გახოკიძე ფიქრობს, რომ ხალვაშის უკან რაღაც ძალები დგას, რუსთავი 2-ის უკან – სხვა ძალები და ეს ძაბავს ვითარებას. ხელისუფლების სამივე შტო კი იმით არის დაკავებული, რომ ერთმანეთს უმტკიცებენ – არა, მე არა ვარ ასეთი.

არავინ ფიქრობს, რომ ხალხს ეს არ აინტერესებს.

– ხალხს აინტერესებს, რომ მთავრობის წევრი, პრეზიდენტის აპარატი, პარლამენტარები, განსაკუთრებით მაჟორიტარი დეპუტატები წავიდნენ და უგებრობა ხდებოდეს ამ თემაზე ხელისუფლების შტოებს შორის?! ვფიქრობ – არა.

– სახელისუფლებო შტოების პირველი პირები ვერ ხვდებიან, რომ უნებურად ერთვებიან გარე ძალების ინტერესებში – შესუსტდეს მმართველობითი რგოლი თუ მათაც აწყობთ გუნდის შიგნით დასუსტება? ითქვა, რომ გუნდის შიგნით მიდის საუბრები პრეზიდენტის იმპიჩმენტზე.

– შინაგანად ჰუმანური კაცი ვარ, დემოკრატი. ყოველთვის ვცდილობ-ხალხს ელაპარაკონ, რა უჭირთ მათ, რა სჭირდებათ და რა არ მოსწონთ, – ამბობს უშიშროების ყოფილი შეფი.

მისი აზრით, აქ ხელისუფლება ძალიან აგებს.

– ენდიაის რეიტინგებს დიდად არ ვენდობი, მაგრამ, ცოტაც თუ არის იქ მართალი, ეს უკვე ხელისუფლებისთვის არ ვარგა. ხელისუფლება ღრმად უნდა ჩაფიქრდეს, – აცხადებს ჯემალ გახოკიძე.

– ხელისუფლების არასწორი ნაბიჯები რისი ბრალია?

– მე პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი მომწონს, აქტიური კაცია, მოკლე დროში ალღო აუღო ძალიან რთულ საკითხებს. მან ჩაიბარა ურთუ-ლესი სამინისტრო – შსს, საიდანაც მე, პირადად, აფეთქებებს ველოდებოდი, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებითაც კი. მან ამას თავი გაართვა, მაგრამ ამას მის მთელ გუნდზე ვერ ვიტყვი.

გახოკიძის თქმით, დიალოგისთვის რომ დავსვათ პრეზიდენტი, პრემიერი და პარლამენტის თავმჯდომარე, შეიძლება, დაგრჩეს შთაბეჭდილება, რომ სამი ქვეყნის წარმომადგენლები ლაპარაკობენ და არა – ერთის.

– ერთსულოვნება არ არის, რაც ხელს უშლის სახელმწიფოს წინსვლას. ეს არის მტრის წისქვილზე წყლის დასხმა. ამაზე დაგვცინიან კიდეც, – ფიქრობს უშიშროების ყოფილი მინისტრი.

მისი აზრით, ნაციონალები ამ მდგომარეობით მშვენივრად სარგებლობენ. მათ პარლამენტში მოხვედრის არავითარი შანსი არ აქვთ, რადგან რეალური ელექტორატი არ ჰყავთ. ნაციონალების მთავარი საბრძოლო იარაღია ის დამოკიდებულება, რომელიც ხელისუფლების შტოებს შორის იკვეთება.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

მამუკა არეშიძე: „ნაციონალებიც ცდილობენ, სააკაშვილს გაემიჯნონ“

ნონა ცაბაძე

გასულ კვირას გამოქვეყნებული ნაციონალური მოძრაობის ლიდერების ფარული ჩანაწერები აქტუალობას კვლავაც არ კარგავს.

ხელისუფლებაში აქტიურად განიხილება სააკაშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევის საკითხი. ამავე დროს, არსებობს მოსაზრება, რომ ასეთ შემთხვევაში მისი საქართველოსთვის გადმოცემის შესაძლებლობა საბოლოოდ მოისპობა.

ექსპერტი მამუკა არეშიძე დარწმუნებულია, რომ სააკაშვილის დაკავება არც ახლაა იოლი და უკრაინის ხელისუფლება არ გადმოსცემს სააკაშვილს საქართველოს. აქედან გამომდინარე, აზრი არ აქვს, ის დარჩება თუ არა საქართველოს მოქალაქეობის ფორმატში.

– აქ უკრაინის ხელისუფლება არ არის გადამწყვეტი, – ამბობს ექსპერტი.

– აბა, ვინ არის?

– აქ არის ის ნეოკონსერვატორული ძალები, ამერიკული და ევროპული, რომლებიც ეხმარებიან და აფინანსებენ პოროშენკოს ხელისუფლებას და რომელთა პოლიტიკური პროცესის წამმართველი უკრაინაში გახლავთ მიხეილ სააკაშვილი. ისინი არ დათმობენ სააკაშვილს. აქედან გამომდინარე, სულ ერთია, ექნება თუ არ ექნება საქართველოს მოქალაქეობა იურიდიული თვალსაზრისით.

– იმ ამერიკელებსა და ევროპელებზე საუბრობთ, რომლებსაც სააკაშვილი იდიოტ უცხოელებს უწოდებს?

– სააკაშვილი იდიოტებს ამათ არ უწოდებს. ესენი არ არიან დიდ პოლიტიკაში, ისინი არ ჩანან. მხოლოდ აისბერგის წვერი შეიძლება გამოჩნდეს მაკკეინის სახით.

– აბა, სააკაშვილი ვის აგინებს?

– ვისაც სააკაშვილი აგინებს, ესენი არიან ევროპელი პარლამენტარები. სააკაშვილისგან მათი გინება არაერთხელ მომისმენია მასთან პირად საუბრებში, იმიტომ, რომ ეს ევროპელი დეპუტატები ქმნიან იმ ეპისტოლარულ ჟანრს, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ წლების განმავლობაში და რომელიც დასავლური პოლიტიკის აღშფოთებაშეშფოთების რეჟიმს გამოხატავს.

ჩემთვის მარტო ქიბარ ხალვაში არ არის რუსთავი 2-ის მეპატრონე. იქ იმდენი ხალხია, ყველამ რომ სარჩელი შეიტანოს, ეს პროცესი საუკუნე გაგრძელდება

– ბოკერია და გვარამია დაკითხვის შემდეგ მშვიდად გამოუშვეს მოდულის შენობიდან. მხოლოდ ამით შემოიფარგლება გამოძიება თუ გაგრძელდება ძიება მათ წინააღმდეგ?

– მე არაერთხელ მითქვამს, რომ რაც უფრო მეტს გამოჩნდებოდა რუსთავი 2-ის პოზიციების გამხმოვანებლად გვარამია, მით უფრო უარესი იყო რუსთავი 2-ისთვის.

– რატომ?

– იმიტომ, რომ საზოგადოების თვალში გვარამია არ აღიქმება ჟურნალისტად. გვარამია აღიქმება გენპროკურორის ყოფილ მოადგილედ და ადამიანად, რომელმაც რეპრესიული მანქანის შექმნაში უზარმაზარი წვლილი შეიტანა, რომელმაც დადგა ეს სპექტაკლები – ენვერი და ზოგიერთი სხვა. აქედან გამომდინარე, წამგებიანი იყო ეს თამაში. როგორც ჩანს, გვარამია ამას მიხვდა და სააკაშვილის ამ ცნობილი პოზიციისგან დისტანცირება მოახდინა.

– რჩება შთაბეჭდილება, რომ ნაციონალებიც ცდილობენ, გაემიჯნონ სააკაშვილს. ასეა?

– დიახ, სწორი შთაბეჭდილებაა. ისინიც ცდილობენ გამიჯვნას. რომ დააკვირდეთ სოციალურ ქსელებს, თავგადაკლული ნაციონალები როგორ ლანძღავენ ამ გამიჯნულებს, გაგიკვირდებათ.

– ვინ არიან ეს გამიჯნულები?

– ეს გამიჯნულები არიან შოუბიზნესის ვარსკვლავები, ვანოს შოუს მონაწილეები, რუსთავი 2-ის ზოგიერთი ხელმძღვანელი, ნაციონალური მოძრაობის ზოგიერთი მხარდამჭერი და ასე შემდეგ.

ფაქტია, რომ არავის უნდა სისხლისღვრა და ბარიკადები. მე არაერთი ადამიანისგან მომისმენია, რომ რუსთავი 2-ს ბევრად მეტი მხარდამჭერი ჰყავს ამ ქვეყანაში, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება წარმოიდგინო, მიუხედავად იმისა, რომ რუსთავი 2-ის სარედაქციო პოლიტიკა ბევრს არ მოსწონს.

ექსპერტი მიიჩნევს, რომ რუსთავი 2-ის პრინციპი, რომლითაც ის ხელისუფლებას აკრიტიკებს, საქართველოს ნამდვილად სჭირდება, ოღონდ არა ამ ფორმით.

– ბევრად მეტი ხალხი იქნებოდა რუსთავი 2-ის დამცველ აქციაზე, მათ შორის შეიძლებოდა, მე და თქვენც ვყოფილიყავით, რომ არა გვარამია და ტელევიზიის ნაციონალებთან პირდაპირი კავშირი, – აცხადებს არეშიძე.

– შეძლებს რუსთავი 2, გაემიჯნოს ნაციონალურ მოძრაობას?

– ეს შეუძლია, ჩანს კიდეც, მაგრამ უკვე გვიან არის! დღეს ღრმად არის შესული პროცესი და ეს ვითარება შეცვლას აღარ ექვემდებარება. სამართლიანობისთვის იმასაც ვიტყვი, რომ ჩემთვის მარტო ქიბარ ხალვაში არ არის რუსთავი 2-ის მეპატრონე. იქ იმდენი ხალხია, ყველამ რომ სარჩელი შეიტანოს, ეს პროცესი საუკუნე გაგრძელდება.

მამუკა არეშიძის აზრით, რუსთავი 2-ის ჟურნალისტებმა უნდა გააცნობიერონ, რომ პოლიტიკოსებისა თუ მფლობელების მხრიდან მათი სახელით ბევრი უსინდისობაა ჩადენილი.

– თუნდაც აჭარის ეპიზოდი რომ

ვის უწოდებს იდიოტ უცხოელებს ყოფილი პრეზიდენტი

ავიღოთ, მე ხომ კარგად მახსოვს, როგორ წაართვეს აჭარის ტელევიზიას მთელი ტექნიკა და როგორ ჩამოიტანა ეროსი კიწმარიშვილმა რუსთავი 2-ში ყოველგვარი საზღაურის გარეშე, – აცხადებს ექსპერტი.

– როგორია ხელისუფლების როლი და პოზიცია შექმნილ სიტუაციაში?

– რომ გითხრათ, ხელისუფლებას არ სიამოვნებს ის, რაც რუსთავი 2-ის გარშემო ხდება, ტყუილი იქნება. რასაკვირველია, სიამოვნებს. მე არ ვიცი ხელისუფლების ჩართულობა ამ საქმეში, თუმცა, თუ მოვლენების განვითარებას გავყვებით, ლოგიკური იყო ის, რომ ყოფილი მფლობელი, რომელსაც უკანონოდ ჩამოართვეს ტელევიზია, ითხოვს კუთვნილი წილის დაბრუნებას. ხელისუფლების სიხარული კი არ ნიშნავს იმას, რომ ეს პროცესი მაინცდამაინც ხელისუფლების მიერ არის ინსპირირებული.

– ამ ფონზე დიდი კრიტიკა დაიმსახურა პრეზიდენტმა მარგველაშვილმა. როგორ აფასებთ მის ნაბიჯებს, მოხდა ნაციონალების მხრიდან მისი გამოყენება, რაზეც დღეს აქტიურად საუბრობენ?

– ეს, უბრალოდ, პრეზიდენტის ხასიათშია. ვინც არ იცნობს პრეზიდენტს, მხოლოდ მას ჰგონია, რომ ასე მარტივად ხდება პრეზიდენტის გამოყენება. ეს მისი ხასიათია, მას უყვარს პოზაში დგომა. შესაძლოა, რაღაც გავლენები ჰქონდათ მასზე მის ყოფილ მეგობრებს, იმავე ბოკერიასა და სხვებს, მაგრამ ეს განცხადებები მისი ხასიათიდან გამომდინარეობდა.

ამის მიუხედავად, არეშიძე ფიქრობს, რომ პრეზიდენტმა შეცდომა დაუშვა, როცა მოსამართლეს სიხისტისკენ მოუწოდა.

– თუმცა მისი მეორე განცხადება, რომელიც უკვე ამ მოვლენების შემდეგ გააკეთა, ზუსტად მისი პოზაში დგომის მაგალითია, – აღნიშნავს არეშიძე.

– რატომ იცვლის ასე ხშირად პოზიციას პრეზიდენტი, ყურადღების ცენტრში ყოფნა მოსწონს?

– არა, ასე ნუ გავაუბრალოებთ. მე შეიძლება, ბევრ რამეში არ ვეთანხმები პრეზიდენტს, მაგრამ არ მომწონს, ვიღაცები თავს უფლებას რომ აძლევენ, პრეზიდენტის ინსტიტუტი მასხრად აიგდონ! არ არის გიორგი მარგველაშვილი ისეთი პიროვნება, თავისი განათლებისა თუ ოჯახური დონიდან გამომდინარე, რომ ასე ასაგდები იყოს! უბრალოდ, ხასიათი აქვს ასეთი.

ის ჩამოუყალიბებელი პოლიტიკური ფიგურაა, რომელსაც არ აქვს დიდი პოლიტიკური გამოცდილება და ხშირ შემთხვევაში მცდარ და ემოციურ გადაწყვეტილებებს იღებს.

რეზო ამაშუკელი: „შევაკვდები და ნაციონალებს ციხეში გავუშვებ!“

შორენა მარსაგიშვილი

დღეს, 2 ნოემბერს, პოეტ რეზო ამაშუკელის თაოსნობით რუსთაველის თეატრში გაიმართება საზოგადოებრივი მოძრაობა „ლაზარეს“ შეკრება. როგორც ამაშუკელი „ახალ თაობასთან“ საუბარში აცხადებს, შეკრებაზე ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე იმსჯელებენ.

რა მიზანი აქვს ამ თავყრილობას, რას ჰპირდებიან ნაციონალებს, რა პროვოკაცია ელოდება ირაკლი ღარიბაშვილს? – ამის შესახებ რეზო ამაშუკელი გვესაუბრება.

რეზო ამაშუკელი:

– მოსაწვევები არავისთვის გამიგზავნია. ვისაც თავისი სამშობლო სტკივა, ყველა იქ უნდა მოვიდეს, ოღონდ პარტიები და პოლიტიკური ორგანიზაციები არ დავინახო. მოსვლით მოვიდნენ, მაგრამ თავიანთთვის დასხდნენ. ლაპარაკით ილაპარაკებს ხალხი.

ყველაფერს ვაკეთებ იმისათვის, რომ პროცესებმა ქუჩაში არ გადაინაცვლოს. ამ შეკრებასაც ამიტომ ვმართავთ. ჩვენ უნდა ამოვიღოთ ხმა და მხარში დავუდგეთ ირაკლი ღარიბაშვილს.

– ბატონო რეზო, მოდით, დავაზუსტოთ, ეს თავყრილობა ღარიბაშვილის მხარდასაჭერად იმართება?

– ეს შეკრება საქართველოს მხარდასაჭერად იმართება. ღარიბაშვილისთვის მხარდაჭერის გამოხატვით დასავლეთს უნდა დავანახოთ, რომ საქართველოში მხოლოდ ნაციონალები არ არიან და ხალხი მათ გასამართლებას ითხოვს.

პირადად მე იმის მოთმენასა და დავიწყებას არ ვაპირებ, იმათ რაც ჩაიდინეს. ქვეყანა გაუპატიურებულია და ჩუმად ვიყოთ? იმას დაველოდოთ, კიდევ რა უბედურებას მოაწყობენ?

„არჩევნების გაყალბებაზე რესპუბლიკელები ხელს ღარიბაშვილს შეაწმენდენ“

მართალია, ღარიბაშვილს ვუჭერთ მხარს, მაგრამ ხელისუფლების მიმართაც გვექნება მოთხოვნები.

– რა მოთხოვნები?

– სახელმწიფომ კეთილი ინებოს და ყველაფერი გააკეთოს დამნაშავეების დასასჯელად. ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავამკვიდროთ, რომ დამნაშავეები პასუხს აგებენ ჩადენილ დანაშაულზე. ხალხი ძალიან გამწარებულია. ჩემი მიზანი, როგორც გითხარით, ის არის, რომ პროცესებმა ქუჩაში არ გადაინაცვლოს. პროცესებმა ქუჩაში თუ გადაინაცვლა, საშინელი სისხლისღვრა დაიწყება, სადაც პეტრესა და პავლეს აღარავინ გაარჩევს.

ყველაზე მეტად მე მინდა ნაციონალების დასჯა, მაგრამ პროცესების ქუჩაში გადანაცვლებას ხელს ყველანაირად შევუშლი. ამ ქვეყანამ და ერმა ისედაც მრავალი უბედურება გადაიტანა, კიდევ ერთ სამოქალაქო დაპირისპირებას ვეღარ გაუძლებს.

მინდა, სწრაფად დაისაჯონ დამნაშავეები. ამის გამო ხელისუფლებასაც ხშირად ვაკრიტიკებ, მაგრამ, იმასაც ვხვდები, რომ ეს საქმე ასე უცბად არ გამოვა. კარგს შვრება ხელისუფლება, ნელ-ნელა რომ მისდევს ამ დამნაშავეებსა და არაკაცებს.

– გაგებით ეკიდებით იმას, რომ სამართლიანობის აღდგენა ნელი ნაბიჯებით მიმდინარეობს?

– სხვა გზა არ არის, სამართლიანობის აღდგენამ, შესაძლოა, დაიგვიანოს, მაგრამ ის აუცილებლად უნდა აღდგეს. პირადად მე შევაკვდები და ამ ნაციონალებს ციხეში გავუშვებ. მათ დაუსჯელობას არავინ მოითმენს და ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი ამ კაბინეტაციას ცხვირში ნუ გვატენის.

– ვისზე ამბობთ, ბატონო რეზო?

– იმ ქალბატონ მინისტრზე, რომ გაიძახის, კაბინეტაცია ქართველი ხალხის დაკვეთა იყოო. ზოგიერთი ცოტა ჭკვიანად იყოს, თორემ ვაჩვენებ, სინამდვილეში რა არის ხალხის დაკვეთა.

დღეს ხალხის ქუჩაში გამოყვანას ვეწინააღმდეგები, მაგრამ ხვალ შეიძლება, ტვინი გადამიბრუნდეს და ხალხს ქუჩაში დავუძახებ. თქვენ ხომ არ გგონიათ, ამისთვის დიდი სირბილი და აგიტაციები დამჭირდება. ერთს დავიღრიალებ და ათასობით ადამიანი გამოვა. ხალხი ძალიან გაბრაზებულია.

თავს იმიტომ ვიკავებ, რომ ფეთქებადსაშიშ რეგიონში ვცხოვრობთ და, ხვალ-ზეგ რა იქნება, კაცმა არ იცის. ბიოლოგიურად რომ გადარჩეს ჩემი ერი, ამიტომ ვკრებ ხალხს შენობაში, სადაც ძალიან მწვავედ დავაფიქსირებთ ჩვენს აზრს.

ამ ნაციონალებს მივმართავ: ნუ დაეთრევიან გარეთ, დაეყარონ სახლებში, სანამ დროა, თორემ მერე სახლებში დამალვაც არ უშველით. მათ გამო 3 წლის განმავლობაში ხელისუფლება სულ საბოტაჟში იყო. არ გეგონოთ, მათ ვამართლებ, მაგრამ ყველაფერს აკეთებენ, რომ ეს ქვეყანა გადარჩეს და ბოლომდე უმადურები ნუ ვიქნებით. ერთს კი ვაფრთხილებ ხელისუფლებას – სათანადოდ მოჰკიდონ ხელი ამ არაკაცებს და გამოიძინონ ის საქმე, რომლის გამოძიებაც დაიწყეს.

– უკრაინულ მედიაში გამოქვეყნებულ ინფორმაციაზე რომ აღიძრა საქმე, მაგას გულისხმობთ?

– ეგ არის სახელმწიფო გადატრიალების მზადება და, რადგან აღძრეს საქმე, კეთილი ინებონ და ბოლომდე მიიყვანონ. ჩვენ ხელისუფლებას ვაცლით, მაგრამ დიდხანს ვერ მოვითმენთ. დამნაშავეების დასჯა თუ არ დაიწყო, ქუჩაში გასულ ხალხს აღარ გავაჩერებ.

რაც არ უნდა ამტკიცონ გვარამიამ და ბოკერიამ, რომ სააკაშვილთან საუბრისას საქართველოში არეულობის მოწყობა არ იგეგმებოდა, არ გამოუვათ. ამ აუდიოჩანაწერის ავთენტურობაში და იმაში, რომ მათ მართლაც უნდათ საქართველოში არეულობისა და ქაოსის შემოტანა, ერთი წუთით არ მეპარება ეჭვი. გვარამიას ურჩევნია, მეგობრულად თავის „კონჩიტებს“ ელაპარაკოს.

ჩვენს შეკრებას არ ეხება, მაგრამ 31 ოქტომბერს გამართულ შუალედურ არჩევნებთან დაკავშირებითაც დავაფიქსირებ ჩემს პოზიციას. ის, რაც საგარეჯოში მოხდა, კარგად დაგეგმილი და შორსმიმავალი პროვოკაციაა.

– რა პროვოკაციაზე საუბრობთ, ბატონო რეზო?

– იმაზე, რაც რესპუბლიკელებმა გააკეთეს. მათ გააყალბეს არჩევნები, რაც შორსმიმავალი მზაკვრული გეგმაა და ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ არის მიმართული.

სოსო ცინცაძე: „ივანიშვილს შეეძლო, არაფორმალური მმართველის სტატუსი დაეგბრია“

ნათია ხურცილავა

„ამისთვის ირმა ინაშვილს უნდა გაემარჯვა“

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ საუბარში აცხადებს, რომ შუალედური არჩევნები საგარეჯოსა და მარტვილში გენერალური რეპეტიცია იყო 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის. ის ფიქრობს, რომ საგარეჯოში რესპუბლიკელების კანდიდატის გამარჯვებით ხაზი გაესვა იმას, რომ რესპუბლიკელები კოალიციის წამყვანი ძალაა.

– ინტრიგის კვანძი სწორედ საგარეჯოში შეიკრა. მერე დაემთხვა მოქმედი მინისტრისა და დეპუტატობის კანდიდატის გვარი ერთმანეთს, თან, ალბათ, ქალბატონმა მინისტრმა შეარჩია კანდიდატი და უამრავი ნიუანსი იჩენს აქ თავს. ალბათ, ბევრ საგარეჯოელ ამომრჩეველს წარმოდგენაც კი არ ჰქონდა ამ ნიუანსებზე. მიუხედავად ამ ინტრიგისა, საარჩევნო ურნასთან ძალიან ცოტა ამომრჩეველი მივიდა. – ამბობს პოლიტოლოგი.

– ეს შეიძლება პრობლემა გახდეს 2016 წლის არჩევნებისთვის?

– ცხადია და ეს კარგად გამოჩნდა. არჩევნებზე არ მიდის ამომრჩეველი. საარჩევნო კანონმდებლობა კი უშვებს ამას და ამომრჩევლის 30% მისვლა არ არის კანონდარღვევა, მაგრამ ეს მისასალმებელი არ არის, პირიქით, სერიოზული დამაფიქრებელი ფაქტორი უნდა იყოს ხელისუფლებისთვის.

– რა კონკრეტული დარღვევები გამოიკვეთა, რომლებზეც უნდა გაამახვილოს ყურადღება საზოგადოებამ?

– კვლავ პრობლემატურია ე.წ. დახურული უბნები. ასევე ორი მინისტრი იყო ჩასული ადგილზე. მართალია, მათ კანონმდებლობა არ უკრძალავთ დასვენების დღეს საარჩევნო პროცესში მონაწილეობას, მაგრამ ეს არ ხდება მსოფლიოს არცერთ დემოკრატიულ ქვეყანაში.

– ხელისუფლებამ ეს ტესტი ჩააბარა?

– ჩააბარა, მაგრამ ოპოზიციისთვისათვის კარგი, დასკვნების გამოსატანი გაკვეთილი უნდა იყოს.

– რას გულისხმობთ?

– ადმინისტრაციული რესურსი ცოცხალია და უკვდავია. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ინაშვილის გამარჯვება ოპოზიციისთვის მაინცდამაინც კარგი გაკვეთილი ვერ იქნებოდა.

– რატომ?

– მათ სიფრთხილეს მოადუნებდა, რადგან ხელისუფლებას უდიდესი პროპაგანდისტული ბერკეტი ექნებოდა ხელთ, რომ სახელისუფლებო კანდიდატმა პატიოსნად წააგო, რომ დემოკრატიის უმაღლესი სტანდარტით ჩატარდა არჩევნები. ეს კი ოპოზიციის ყურადღებას მოადუნებდა დიდ არჩევნებში. ამიტომაც ვამბობ, რომ ეს წაგება ოპოზიციისთვის ცივი შხაპი უნდა იყოს.

– ოპოზიციის დიდი ნაწილი არჩევნებში არ მონაწილეობდა ბოიკოტის მიზეზით.

– დიახ, მაგრამ მაინც კარგია, რადგან მათთვისაც, როგორც ხელისუფლებისთვის, ეს არჩევნები ერთგვარი მოთელვა უნდა იყოს. სამწუხაროდ, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება წარსულს არ ჩაჰბარებია. ბიძინა ივანიშვილს ბრწყინვალე შესაძლებლობა ჰქონდა, დაეგბრია არაფორმალური მმართველის სტატუსი.

– როგორ?

– თუ არჩევნებს ირმა ინაშვილი მოიგებდა და არა სახელისუფლებო კანდიდატი თამარ ხიდაშელი, ეს შეხედულება დაინგრეოდა, რადგან ვიცით, რომ ბიძინა ივანიშვილი სახელისუფლებო კანდიდატს უჭერდა მხარს.

– თუმცა, იმავე წარმატებით შეიძლებოდა თქმულიყო, რომ ივანიშვილმა ინაშვილი გაიყვანა.

– რა თქმა უნდა, ესეც შესაძლებელი იყო, მაგრამ სახელისუფლებო კანდიდატის გამარჯვება უფრო მეტ კითხვას ბადებს ყოველთვის, რაც უნდა ზედმიწევნით კარგად ჩატარდეს არჩევნები.

– არასაპარლამენტო ოპოზიციამ შესაძლებელია ტაქტიკა შეცვალოს, რომ მოახერხოს ერთი ლიდერის ირგვლივ გაერთიანება?

– დღეს არასაპარლამენტო ოპოზიციას სხვა გამოსავალი არ აქვს. 2016 წლის არჩევნები არის მომავლის არჩევნები, რომელიც 2020 წლის არჩევნების ბედს განსაზღვრავს. ამის გაცნობიერება თუ ვერ მოხდა, მაშინ ოპოზიცია ყველაფერს დაკარგავს. ამიტომ ოპოზიციას ვურჩევ, შიდა პრაიმერიზი ჩაატაროს და რეალური ლიდერი გამოავლინოს, რათა ამ ლიდერის ირგვლივ მოხდეს გაერთიანება.

დღეს საქართველოში იმდენი ლიდერია, რამდენიც 50-იანი წლების ისრაელშიც არ ყოფილა. დღეს არასაპარლამენტო ოპოზიციას საქართველოში მძიმეწონოსანი ლიდერი არ ჰყავს. ერთადერთი, ვისაც პოლიტიკაში დიდი გამოცდილება აქვს და დღეს პარლამენტს გარეთ არის, ნინო ბურჯანაძეა.

თუ წინასაარჩევნო კამპანია ამ რეჟიმში გაგრძელდა და ოპოზიციამ არ მოუხმო გონიერებას, უფრო სხვა ტიპის კამპანია არ აწარმოა, უფრო სოციალურ საკითხებზე ორიენტირებული, მაშინ მას შანსი არ აქვს და კვლავ „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს.

„დვანში რუსული აგენტურა მოქმედებს, ჩვენს სპეცსამსახურებს კი სძინავთ“

გულიკო ბალაძე

ცხინვალის რეგიონის კონფლიქტისპირა სოფელ დვანის მცხოვრები გენადი მამაგულაშვილი გვატყობინებს, რომ ბოლო დროს მათთან ვითარება გართულდა, კერძოდ, გახშირდა რუსი ჯარისკაცების მხრიდან ქართველების გატაცების ფაქტები.

ასევე გახშირდა რუსული ვერტმფრენების შემოფრენა ჩვენს კონტროლირებად ტერიტორიაზე, კერძოდ, სოფელ დვანში.

– რუსული ვერტმფრენები 19 სექტემბერსა და 19 ოქტომბერს ისევ შემოფრინდნენ. ამას ემატება გამუდმებული სროლებისა და აფეთქებების გამო ცხინვალის მხრიდან ნადირის აქეთ გამოდევნა. მტაცებელი ნადირი გამოიდევნა აქეთ, რადგან იქით სიმშვიდეა. მოკლედ, გაჭირვებულ მდგომარეობაში ვართ. ერთი ხბო მეც შემიჭამა, – ამბობს გენადი მამაგულაშვილი.

– სად ისვრიან?

– ისვრიან იქით, რუსების კონტროლირებად ტერიტორიაზე. შეიძლება, ეს მიზანმიმართულადაც ხდებოდეს, შეიძლება – სრულიად შემთხვევით, მაგრამ მტაცებელი ცხოველები იქიდან გამორბიან. ისინი ჩვენ შეგვეხიზნნენ. ხბორების წამოსაყვანად წავედი და ერთი შეჭმული დამხვდა.

– ძლიერი სროლები და აფეთქებებია?

– დიახ, სროლისა და აფეთქებების ხმა ძალიან ძლიერია. ეჭვი მიჩნდება, რომ იქ რაღაცებს ანადგურებენ.

– მაგალითად, რას შეიძლება ანადგურებდნენ?

– შეიძლება, შემოაქვთ ჩამოწერილი ვადაგასული ფეთქებადი ნივთიერებები, ტყვიაწამალი და აქ ანადგურებენ.

– არ შეიძლება, წვრთნებს უკავშირდებოდეს?

– წვრთნები ადრე იყო და დამთავრდა. კვირაში რამდენჯერმე ძლიერი აფეთქება ხდება. ხან დღეში რამდენჯერმე აფეთქებენ, ხანაც გამუდმებული აფეთქებებია.

რას ყვება დვანელი გენადი მამაგულაშვილი

– სხვა რა პრობლემები გექმნებათ?

– დაიწყო ადამიანების გატაცებები. ამას წინათ ჩვენი სოფლიდან ორი ბიჭი გაიტაცეს. ისინი წინა კვირას გამოუშვეს. ორი დღის წინ ჩვენი საქონელი გამორეკეს ჩვენი საძოვრებიდან. მწყემსები გააფრთხილეს, აქ საქონელი აღარ გამორეკოთო. ახლა ორი კაცი გაიტაცეს.

– საქონელს არ იტაცებენ?

– საქონელს არ იტაცებენ. როგორც მწყემსმა თქვა, საქონელი თვითონ გადმოურეკავთ ჩვენს სასაფლაომდე. ახლა კიდევ ორი მწყემსი გაიტაცეს.

– მათ კონტროლირებად ტერიტორიაზე ხომ არ იყვნენ გადასული?

– არა. სადაც ის მწყემსები იყვნენ, უმაღლეს დონეზე შესრულებული ბადეა გაბმული, რომელზეც ვერც ადამიანი გადავიდოდა და ვერც – ძროხა, მაგრამ რუსები ხევიდან გადმოვიდნენ.

– ხევში მავთულხლართები არ არის?

– ხევში არ არის გაბმული. ისინი იმ ხევიდან ამოვიდნენ და მწყემსები წაიყვანეს.

– ანუ რუსები იმ მავთულხლართის აქეთ გადმოდიან და აქედან მიჰყავთ ადამიანები?

– დიახ, ისინი გადმოდიან აქეთ და იტაცებენ ადამიანებს. ჩვენებს თითქოს იქამდე მისვლის უფლება არ აქვთ, მაგრამ უფლებას აძლევენ საკუთარ თავს, გადმოვიდნენ და ადამიანები გაიტაცონ.

ეჭვი მიჩნდება, რომ ადამიანების გატაცება ეკონომიკური ინტერესების გამო ხდება, თავიანთი ბიუჯეტის შესავსებად. ისინი იტაცებენ ადამიანებს, ჩვენ ვიხდით ფულს. სახელმწიფომ უნდა აკრძალოს ფულის გადარიცხვა. რას მიუსჯიან იმისათვის, რომ თავის ტერიტორიაზე ძროხას აძოვებდა?! თუკი არ მოხდება თანხების გადარიცხვა, მერე, შეიძლება, ხალხის დაპატიმრებას



თავი დაანებონ.

– არ მესმის, რას ნიშნავს ფულის გადარიცხვა.

– როცა ადამიანს აპატიმრებენ, იქ უმართავენ სასამართლოს და აჯარიმებენ 2.000 რუბლით. ფული თუ არ გადაირიცხა, არ ათავისუფლებენ.

– ფულის გადარიცხვა როგორ ხდება?

– ფულის გადარიცხვა ბანკის მეშვეობით ხდება. ასეთი პრაქტიკა უნდა აიკრძალოს.

– ცხინვალში ფულის გადარიცხვას რომელი ბანკი ახორციელებს?

– მგონი, ფულს ყველა ბანკი რიცხავს.

– ხომ არის შეხვედრები ერგნეთში. მათი საშუალებით ხომ არ ხდება ფულის გადახდა?

– არა მგონია. ეგენი ძალიან იშვიათად ხვდებიან, გატაცებები კი ხშირად ხდება.

– ახლა რა გვარის ადამიანები არიან გატაცებული?

– ახლა გატაცებული არიან კუკური მახაჭაშვილი და დავით მინდიაშვილი.

– თუ არიან ისეთები, რომლებიც ცხინვალის ციხეში დიდი ხანია სხედან და სასჯელს იხდიან?

– ჩვენგან – არა.

– გათავისუფლებულები რას ამბობენ, რა მდგომარეობაა ოსების ციხეებში?

– ისინი ჩვენ არაფერს გვეუბნებიან. დაკითხვაზე რას ეუბნებიან ჩვენებს, არ ვიცით.

– კიდევ რა პრობლემები გაწუხებთ?

– იმის გამო, რომ ევროკავშირისა და ნატოს ქმედებები უნაყოფოა, მოსახლეობაში პრორუსული განწყობა იზრდება.

– რით გამოიხატება პრორუსული განწყობა?

– არიან ადამიანები, რომლებიც ამბობენ, რუსეთი გვინდაო. ამას ყურადღებას არავინ აქცევს.

– რად უნდათ რუსები, რას გაუკეთებს რუსეთი?

– ამას ის ადამიანები ამბობენ, რომლებიც თავის დროზე კგბ-ში მუშაობდნენ. ასევე არიან მათთან დაკავშირებული ადამიანებიც. მათ პასუხს არავინ სცემს, ამიტომ თავს უფლებას აძლევენ, გამოვიდნენ სოფლის ცენტრში და თქვან, რად გვინდა ევროკავშირი და ნატოო. ისინი ხალხს უმტკიცებენ, რუსეთი უფრო ძლიერია, რუსეთი ჩვენ უფრო გვაწყობსო.

– გინდათ თქვათ, რომ აგენტურა მუშაობს?

– აგენტურა მოქმედებს, ჩვენს სპეცსამსახურებს კი სძინავთ.

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

პარლამენტში მინისტრებს ელოდებიან

პარლამენტში დღეს, 2 ნოემბერს, მინისტრებს ელოდებიან. მთავრობის რამდენიმე წევრის მოსმენა კომიტეტების ფარგლებში, სამთავრობო პროგრამის „ძლიერი, დემოკრატიული და ერთიანი საქართველოსთვის“ შესრულებასთან დაკავშირებით არის დაგეგმილი.

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის, საგარეო ურთიერთობათა, ევროპასთან ინტეგრაციისა და დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ პაატა ზაქარეიშვილს მოუსმენენ.

განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის სხდომაზე მიწვეული არიან განათლების მინისტრი თამარ სანიკიძე და კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე.

გარდა ამისა, დანიშნულია სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის სხდომა, სადაც სპორტის სფეროში სამთავრობო პროგრამის განხორციელებაზე სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი ისაუბრებს.

ინტერპრესნიუსი

მაია სიმონიძე: „ჩვენთან გია ჟორჟოლიანი, ირაკლი ტრიპოლსკი და მიხეილ მაჭავარიანი იმოსებიან“

სამკერვალო კომპანია იმერი ქუთაისში მდებარეობს. 2013 წლამდე, ძირითადად, გერმანული ლებეკისა და იტალიური მონკლერისთვის საექსპორტოდ პროდუქციას კერავდა. ბოლო ორი წელია, ქუთაისში დარეგისტრირებულმა კომპანიამ გადაწყვიტა, ადგილობრივ ბაზარზეც შესულიყო. კომპანია დღეს სამი მაღაზიით (ქუთაისში – 2, თბილისში – 1) არის წარმოდგენილი.

– როდის დაფუძნდა კომპანია იმერი და ამჟამად რამდენ მაღაზიას ფლობთ?

– კომპანიას გააჩნია თითქმის საუკუნოვანი ისტორია, რომელიც იწყება 1928 წლიდან. დაარსებისას ეს იყო სამკერვალო გაერთიანება. მასში გაერთიანებული იყო დასავლეთ საქართველოში არსებული (ზესტაფონის, ჭიათურის, ლენტეხის, ზუგდიდის) შესაბამისი დარგის საწარმოები. გაერთიანება არსებობდა მეოცე საუკუნის 60-იან წლებამდე.

მისი დაშლის შემდეგ ფუნქციონირებას განაგრძობდა, როგორც ქუთაისის საწარმო, რომლის ძირითად პროდუქციას წარმოადგენდა სამხედრო ტანსაცმელი, ე.წ. შინელი (სამოქალაქო ტანსაცმლის მცირე რაოდენობასთან ერთად).

90-იანი წლებიდან ის სააქციო საზოგადოებად არის გადაკეთებული, აქციონერები კი ყოფილი თანამშრომლები არიან.

ჩვენ ძირითადად უცხოელ პარტნიორებზე ვმუშაობთ, გვყავს გერმანელი და იტალიელი პარტნიორები. წლის განმავლობაში მათ შეკვეთებს ვასრულებთ, ექსპორტს ჩვენი შეკვეთების 90 პროცენტი უკავია. შეკვეთებია ქალისა და მამაკაცის ზედა ტანსაცმელზე. მათ შორის არის მანტო, პალტო, ქვედაბოლო და ასე შემდეგ.

– თქვენი პროდუქციის მხოლოდ 10 პროცენტი რატომ რჩება ადგილობრივ ბაზარზე და თუ უწევთ კონკურენციას იმპორტირებულ პროდუქციას?

– საქართველო 3-მილიონიანი ქვეყანაა და წარმოუდგენელია, მთელი მოცულობით შეხვიდე. რაც შეეხება კონკურენციას, ფაქტია, ვუწევთ, იმიტომაც არის, რომ სამი მაღაზიით საკმაოდ აქტიურად ვმუშაობთ.

– რომელ იტალიურ და გერმანულ კომპანიებსთან თანამშრომლობთ და ისინი თქვენი კონტაქტებით მოიძიეთ თუ სახელმწიფო დაგეხმარათ? ასევე როგორ უწევთ კონკურენციას იტალიურ და გერმანულ პროდუქციას?

ინჯერვიუ სამკერვალო კომპანია იმერის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე მაია სიმონიძესთან

– ჩვენს ინდუსტრიაში არის ასეთი შემდეგი მიმართულებები: ფირმა ქმნის მოდელს, თვითონვე ახდენს ქსოვილის შეძენას, ამის შემდეგ იწყებს მოდელის განთავსებას სხვადასხვა ფაბრიკებში. პირველი ხაზია, როდესაც ხდება დიზაინის შექმნა, მარკეტინგი. მეორე ხაზი – კერვა და დამუშავება. ჩვენ ამ მეორე ხაზზე ვართ, რომელიც გულისხმობს კერვას, დამუშავებასა და დამკვეთისთვის მიწოდებას.

უკვე 15 წელია, გერმანულ კომპანია ლებეკისთვის ვასრულებთ დაკვეთებს. წელი გაყოფილია ორ სეზონად – საზაფხულოდ და საზამთროდ. შეკვეთა ძირითადად ითვალისწინებს ქალის ნებისმიერი სახის ტანსაცმლის შეკერვას (ქურთუკი, შარვალი, პიჯაკი, მაისური, კაბა და სხვა). გარდა ამისა, ვთანამშრომლობთ იტალიურ კომპანია ეგერიასთან.

როდესაც ლებეკი საქართველოში შემოვიდა, ქვეყანაში უმძიმესი პერიოდი იყო. ის თბილისის ერთ-ერთ სამკერვალო ფაბრიკასთან მუშაობდა. მასთან დაკავშირებაც მაშინ მოხდა. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც საქართველოში არავინ შემოდიოდა. ამ ფირმამ მაშინ გარისკა, რაც არც მათთვის დამთავრდა ცუდად და არც – ჩვენთვის.

რაც შეხება სხვა პარტნიორებს, ჩვენ მუდმივად ვართ მოძიების პროცესში. გვყავდა თურქები, იტალიელები, თუმცა მუდმივი კლიენტი ბაზარზე არც ისე ხშირია.

– რამდენად აქტიურად იყიდება პროდუქცია და ძირითადად რომელ სეგმენტზეა გათვლილი?

– ძირითადად საშუალო ფენაზეა გათვლილი. ჩვენი მომხმარებლების კატეგორიას ძირითადად პედაგოგები, ექიმები და სტუდენტები წარმოადგენენ. ჩვენთან პოლიტიკოსებიც იმოსებიან, მაგალითად, პარლამენტის წევრები.

– რომელი დეპუტატია თქვენი მომხმარებელი?

– მაგალითად, გია ჟორჟოლიანი, ირაკლი ტრიპოლსკი, მიხეილ მაჭავარიანი.

– ბევრი ბიზნესმენი გაყიდვების შემცირებას ქვეყანაში არსებულ სავალუტო კრიზისს უკავშირებს. თქვენს შემთხვევაში როგორ არის, საზოგადოებამ ფულის დაზოგვა დაიწყო ან კრიზისის გამო ხომ არ მოგიხდათ ფასების ზრდა?

– არ გაგვიზრდია ფასები და ეს ყველაფერი მოგების შემცირების ხარჯზე მოხდა. დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა იმისთვის, რომ ფასები დაგვეჭირა. რაც შეეხება აქტივობას, გასულ წელს ბევრად უფრო დაბალი აქტივობა იყო, ვიდრე წელს. მიმდინარე წელი ბევრად უფრო აქტიურია. ის მოდელები, რომლებიც საერთოდ არ იყიდებოდა გასულ წელს, ამ წელს მოთხოვნადი გახდა, თუმცა, რატომ და რა მიზეზით, ამის ახსნას ჩვენც ვცდილობთ.

– თუ აპირებთ კომპანიის გაფართოებას ან მაღაზიების დამატებას?

– თუ გაყიდვების ეს ტემპი შენარჩუნდა, მომავალი წლიდან წარმადობას 10 პროცენტით გავზრდით. ეს გაზრდილი წილი კი ადგილობრივ ბაზარზე წილის გაზრდაში გამოიხატება. ასევე გაიზრდება ევროპის ბაზარზე შეკვეთების რაოდენობაც. გარდა ამისა, თბილისში, მომავალი შემოდგომიდან კიდევ ერთი მაღაზიის დამატებას ვგეგმავთ.

– რამდენი ადამიანია დასაქმებული და ხომ არ დგას კადრების მოძიების პრობლემა?

– 400 ადამიანი მყავს დასაქმებული. ზოგადად, კადრების ნახვა ძალიან რთულია. როდესაც ვაკანსია ჩნდება, დიდი ძალისხმევა გვჭირდება ხოლმე, რომ კვალიფიციური კი არა, ამ დარგში სურვილის მქონე ადამიანი მაინც ვიპოვოთ. როდესაც ადამიანს ავიყვანთ, ჩვენ თვითონვე ვზრუნავთ მათ ზრდაზე.

– ბიზნესგარემოში რას შეცვლიდით საქართველოში?

– ყველაფერი ნორმალურადაა, არანაირი საყვედური არც სახელმწიფოს, არც ბანკებს. ერთადერთი, რაც მინდა, რომ შეიცვალოს, არის პროფესიულ სასწავლებლებისადმი მიდგომის შეცვლა. დღეს რაც კი ასეთი სასწავლებელი არსებობს, მათგან არცერთი არ ამზადებს მკერავებს. სახელმწიფო პროფესიულ სასწავლებლებზე საკმაოდ დიდ თანხას ხარჯავს, თუმცა, სამკერვალო ფაბრიკებზე ეს არ აისახება. კარგი იქნება, თუ სახელმწიფო ამას ყურადღებას მიაქცევს.

– დღეს არსებული ბიზნესგარემოდან გამომდინარე, დამწყები რომ იყოთ, ახლა ბიზნესს დაიწყებდით, ან ამ ბიზნესს დაიწყებდით თუ სხვა სექტორზე იფიქრებდით?

– ახლა რომ ვიწყებდე და ის თანხა მქონდეს, რაც ამ ბიზნესის დაწყებას სჭირდება, ნამდვილად არ დავიწყებდი. ძალიან მძიმე შრომას დებ აქ, დღე და ღამე მუშაობ, თუმცა ამას ადეკვატური შემოსავალი არ მოაქვს. საქართველოში ბევრად ნაკლები შრომით ბევრად მეტი მოგება მიიღწევა.

სოფო ქსოვრელი, კომერსანტ.გე

ბაკურციხის საჭუმბი სადგურის აღდგენა-რეაბილიტაცია

სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ კახეთის რეგიონში, გურჯაანის მუნიციპალიტეტში ახორციელებს ბაკურციხის მექანიკური მორწყვის სისტემის რეაბილიტაციას.

სატუმბი სადგურის რეაბილიტაციის დაწყებამდე სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ დავით გალეგაშვილმა და შპს „საქართველოს მელიორაციის“ წარმომადგენლებმა შეხვედრა გამართეს ბაკურციხის მოსახლეობასთან. კომპანიის გენერალურმა დირექტორმა ლევან დვალმა საპილოტე პროექტის პრეზენტაცია წარადგინა და მოსახლეობას აღნიშნულ პროექტსა და წვეთური მორწყვის უპირატესობაზე ინფორმაცია მიაწოდა.

მოსახლეობასთან კონსულტაციის შემდეგ გადაწყდა, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ 580 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მოსარწყავად წყალმომხმარებლები ირიგაციის თანამედროვე მეთოდს – წვეთური ირიგაციის სისტემებს გამოიყენებენ. ირიგაციის ეს მეთოდი მორწყვის ტრადიციულ, მიგდებით მორწყვით წესზე ბევრად მომგებიანია, ვინაიდან ნაკლებ ელექტროენერგიასა და სარწყავ წყალს საჭიროებს, ამასთან, მნიშვნელოვნად ზრდის სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავალს და აუმჯობესებს მის ხარისხს.

ბაკურციხის მექანიკური მორწყვის სისტემების რეაბილიტაცია მიმდინარე წლის ივნისში დაიწყო და ამავე წლის ბოლოს დასრულდება.

პროექტის ღირებულებაა 1.341.655 ლარი.

შპს „საქართველოს მელიორაცია“ დღეისათვის კახეთის რეგიონში სამელიორაციო ინფრასტრუქტურის – 8, ხოლო საქართველოს მასშტაბით 28 სარეაბილიტაციო პროექტს ახორციელებს.



რომან გოცირიძე: „საინვესტიციო ბაზარზე კონკურენტები გვჯობნიან“

ლალი დავითური

მსოფლიო ბანკის 2015 წლის მონაცემებით, ბიზნესის კეთების კუთხით საერთაშორისო რეიტინგში საქართველო 9 პოზიციით ჩამოქვეითდა და მე-15 ადგილიდან 24-ე ადგილზე გადაინაცვლა.

ამას მეთოდოლოგიაში განხორციელებული ცვლილებებით ხსნიან და ამტკიცებენ, რომ ძველი მეთოდოლოგიის გამოყენების შემთხვევაში საქართველო შარშანდელ პოზიციაზე, ისევ მე-15 ადგილზეა.

არის თუ არა ბიზნესის კეთება საქართველოში მართლა გაძნელებული და 24-ე ადგილი ტოლია თუ არა მე-15 ადგილის? ამაზე „ახალი თაობა“ ეკონომიკის ექსპერტ რომან გოცირიძეს ესაუბრა.

– საქართველო ამ მეტად ავტორიტეტულ რეიტინგში ძალიან სწრაფად იუარესებს ადგილს. ვიყავით მსოფლიო ელიტაში, „ა“ კლასში მე-8 ადგილზე, ახლა ვართ „ბ“ კლასში და უკან და უკან მივდივართ. შარშან იყო მე-15, წელს უკვე 24-ე ადგილზე ვართ, – ამბობს რომან გოცირიძე.

– რამ გამოიწვია პოზიციის შეცვლა?

– ეს ჩამოქვეითება ხელისუფლების არასწორმა მოქმედებამ გამოიწვია. ქვეყნის წინ წასასვლელად მთავრობას წინასწარ უნდა სცოდნოდა, რა ნაბიჯები გადაედგა როგორც საკანონმდებლო, ისე ორგანიზაციული კუთხით.

ექსპერტის აზრით, ფირმის ერთ დღეში დარეგისტრირებას მხოლოდ კანონი არ ჰყოფნის. ამისთვის უნდა შექმნილიყო იუსტიციის სახლის კონცეფცია, მისი ტექნიკური უზრუნველყოფა, რათა დოკუმენტები ისე ყოფილიყო ხელმისაწვდომი ელექტრონულად, რომ საქმე სწრაფად შესრულებულიყო.

– ამას უზარმაზარი შრომა სჭირდებოდა. სულ 39 რეფორმა ჩატარდა ამ კუთხით, აქედან 38 წინა პერიოდში და მხოლოდ 1 – ახალი ხელისუფლების პირობებში, ისიც ძველი დაწყებული მიიყვანეს ბოლომდე. მერე გაჩერდნენ და აგვიარეს სხვებმა გვერდი, – ამბობს ექსპერტი.

– მთავრობა ამტკიცებს, რომ 24-ე ადგილი შარშანდელი მე-15 ადგილის ტოლია. თქვენ რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?

– ხელისუფლება ამას მეთოდოლოგიის ცვლილებებით ხსნის. რაღაც ლამაზად ჟღერს, ,არა? რაღაც შეუცვლიათ და ჩვენი რა ბრალიაო, ჩვენი პარამეტრები არ შეცვლილა, უბრალოდ, სხვებმა გადაგვასწრესო. მომავალ წელს კიდევ ბევრი გადაგვასწრებს, რადგან ამ მიმართულებით ერთ ადგილს ვტკეპნით. როცა ეს რეიტინგი შედგა, 12 წლის წინ, ასეულს მიღმა ვიყავით. მაშინ ჩვენი ამოცანა იყო, მოწინავენი გავმხდარიყავით და გავხდით კიდეც.

ვიღაცას ჰგონია, რომ ეს რეიტინგი მხოლოდ უცხოეთისთვის სავიზიტო ბარათია და ინვესტორების შემოსატყუებელად არის საჭირო.

– ეს რეიტინგი ინვესტორების შემოსვლაზე იმოქმედებს?

– ინვესტორებზე, რა თქმა უნდა, იმოქმედებს, მაგრამ მთლად ასე მარტივად არ არის საქმე. პირველ რიგში, იგი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების, ბიზნესის სტიმულირების შესაძლებლობებს ზრდის. რომელი ჯობია, ათი დღე ელოდო ფირმის რეგისტრაციას, დახარჯო დრო და ფული თუ ეს მარტივად გააკეთო ერთ დღეში, ან სწრაფად მიიღო სამშენებლო ნებართვა, ან შენი კონტრაქტის აღსრულება იყოს გარანტირებული ისე, რომ არ შეილახოს საკუთრების უფლება და ასე შემდეგ? კრიტერიუმები, ე.წ. მეთოდოლოგია ყოველთვის იცვლებოდა, იხვეწებოდა.

– რა გზებს უნდა მიმართოს მთავრობამ, რათა მომავალ წელს ქვეყანას საერთაშორისო რეიტინგებში დაწინაურებული პოზიცია ჰქონდეს?

– მომავალ წელს კიდევ უკან დავიხევთ. ჯერ ერთი, ლარის დევალვაციის გამო გართულდება კრედიტებზე ხელმისაწვდომობა. ამას კიდევ უფრო გაართულებს საქართველოს პარლამენტის მიერ მესამე მოსმენამდე მისული მორიგი უგუნური კანონი „საპოლიციო გამოსახლების“ ინსტიტუტის გაუქმებასთან დაკავშირებით. ეს სერიოზულად შეარყევს საქართველოს საფინანსო სისტემას და შეასუსტებს ქვეყანაში საკუთრების უფლების დაცვას. იგი იმოქმედებს ბიზნესის კეთების რეიტინგის ისეთ კომპონენტში, როგორიცაა კონტრაქტების აღსრულება.

– მაგრამ მსოფლიო ბანკი აღნიშნავს, რომ აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებს შორის საქართველო მე-4 ადგილს იკავებს. ეს ხომ წინ გადადგმული ნაბიჯია?

– მსოფლიო ბანკი გვაქებს თავის მოხსენებაში და ამბობს, რომ აღმოსავლეთი ევროპისა და პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებს შორის, ლიტვის, ესტონეთისა და მაკედონიის შემდეგ მეოთხე ადგილზე ვართ. ეს დებულება მთავრობამაც სიხარულით აიტაცა. არადა, სად იყვნენ ეს ქვეყნები მაშინ, როცა მსოფლიო ვარსკვლავებს ვეჭიდებოდით და მე-8 ადგილზე ვიყავით? – სადღაც შორს, უკან. ეს იმას ჰგავს, რაგბიში ზელანდიას რომ ვეჭიდებოდეთ და მერე ისე ჩამოვქვეითდეთ, საამაყოდ რუსეთზე უკეთესობა გვეამაყებოდეს.

ამბობენ, რეიტინგი არ უარესდებაო. პრობლემა ის არის, რომ უმნიშვნელოდ იზრდება და კიდევ უფრო დიდი პრობლემაა, რომ სხვები იზრდებიან უფრო სწრაფად ანუ საინვესტიციო ბაზარზე კონკურენტუნარიანობას ვკარგავთ.

რომან გოცირიძეს ეჭვი არ ეპარება, რომ როცა ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის სახით ახალი რეიტინგი გამოქვეყნდება, საქართველოს ზემოთ ნახსენები და სხვა მსგავსი საკანონმდებლო ცვლილებების გამო უკუსვლა ექნება.

მასზე გავლენას მოახდენს საბანკო ზედამხედველობის ირგვლივ განვითარებული მოვლენები, ასევე რუსთავი 2-თან დაკავშირებული პრობლემები, რაც მთავრობის მიერ სასამართლოს დამორჩილებისა და საკუთრების უფლებების შელახვად იქნება შეფასებული.

– წინათ საქართველო ბრენდი იყო, ახლა კი თავისი უამრავი მარეგულირებელი ნორმითა და ინსტიტუტით ტიპურ პოსტსაბჭოთა ქვეყანას ვემსგავსებით, – ამბობს რომან გოცირიძე.

ჯემალ გახოკიძე: „ხელისუფლებას რუსთავი 2-ის ხელში ჩაგდება არ უნდა სჭირდებოდეს“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

– გული მწყდება, ეს საკითხები ერთხელ და სამუდამოდ რომ არ დარეგულირდა. ვფიქრობ, ხელისუფლების სამივე შტომ უნდა დათმოს და საერთო ენა გამონახოს.

– ხელისუფლებას ერთ-ერთი ყველაზე დიდი დარტყმა პროკურატურის სისუსტემ მოუტანა. გამოძიებაში არაკომპეტენტურობაა მართლაც მთავარი პრობლემა?

– ობიექტურად გეუბნებით: ის, რაც პროკურატურამ დღემდე შეძლო, მიკვირს, როგორ შეძლო.

– რატომ?

– იმიტომ, რომ მას ბევრი წუნი აქვს, მაგრამ არაერთ გამოწვევას გაუმკლავდა. რა არის მისი მთავარი უბედურება და შეცდომა? ის, რომ გამოძიების ინსტიტუტი მოკვდა, პროკურორი გამომძიებლად გადაიქცა. აუცილებელია გამოძიების ძალიან ძლიერი ინსტიტუტის შექმნა პროკურორის ზედამხედველობის ქვეშ. პროკურორმა უნდა გასწიოს პროცესუალური კონტროლი გამოძიებაზე.

– არაერთი ამბიციური იურისტი და ადვოკატი შევიდა პარლამენტში. მათ ხომ შეეძლოთ ამ საკანონმდებლო ხარვეზის გამოსწორება?

– გეთანხმებით. დღემდე გაკვირვებული ვარ, რატომ არ სწევენ ამ პრობლემას სერიოზულ დონეზე. პარლამენტში შესული იურისტებიდან არცერთს გამოძიების სკოლა არ გაუვლია. ისინი ძირითადად იყვნენ ადვოკატები და ძალიან მალე დაიწყეს პოლიტიკური მოღვაწეობა. ამიტომ ეს ინსტიტუტი მათთვის, შეიძლება, უცხოც იყოს და არც დიდად სასიამოვნო. ადვოკატს სუსტი გამოძიება აწყობს, რომელსაც ის მოერევა. თუ გამოძიების ინსტიტუტი თავის ადგილზე არ დადგა, სულ ეს პრობლემა იქნება.

– რადგან გამოძიებაზე ვსაუბრობთ, რუსთავი 2-ის თემაა ხმაურიანი და იგივე ეროსი კიწმარიშვილის საქმე.

– მე გამომძიებელი ვარ და თან – ძალიან ფრთხილი, თუ ხელთ არ მაქვს უტყუარი მტკიცებები, ჩემგან რაიმე კატეგორიული დასკვნის გაკეთება სწორი არ იქნება.

კიწმარიშვილის საქმეში ბევრი კითხვის ნიშანია. კიწმარიშვილს ვიცნობდი. მისგან თვითმკვლელობა ცოტა მოულოდნელი იყო. ვიფიქრე, ეს ის კაცი არ არის, თვითმკვლელობამდე მისულიყო-მეთქი. მაგრამ ჯერ გამოძიებას მტკიცებულება არ აქვს, საპირისპირო ამტკიცოს, რომ ის მოკლეს. გამოძიებას დაველოდოთ.

ეროსისთან გვიჩხუბია და გვიკამათია კიდეც ამა თუ იმ სიუჟეტზე, როცა შევარდნაძის ხელისუფლებას ასე მწარედ აკრიტიკებდა. მის პიროვნებას ვიცნობდი, მისი ფსიქიკაც შესწავლილი მქონდა. კიდევ გეუბნებით: საპირისპირო თუ არ დადგინდა, კვალიფიკაცია ვერ შეიცვლება. სანამ კონკრეტული მკვლელი და დანაშაულის იარაღი არ დადგინდება, ამაზე ლაპარაკი ზედმეტია.

– რუსთავი 2-ზე რას იტყვით?

– მთელი საქართველო ამ პროცესშია ჩართული. საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი ნაწილი დაკავებულია ამით, გეგონება, სხვა საქმეები არ არსებობდეს. ხალვაში ამბობს, ძალით წამართვესო. სასამართლომ უნდა დაადგინოს, ასეა თუ არა. რუსთავი 2-მა საჯაროდ ისაუბრა, რა მტკიცებებია საქმეში, თუმცა არ ვიცი, რამდენად სწორია ეს.

მოსამართლე ძალიან ცუდ მდგომარეობაშია. მან თავისი გადაწყვეტილება უტყუარ მტკიცებებს უნდა დააფუძნოს. ამის გარეშე რუსთავი 2-ის საქმეზე გადაწყვეტილების მიღება მოსამართლის დაღუპვა და მართლმსაჯულების მარცხი იქნება

მოსამართლე ძალიან ცუდ მდგომარეობაშია. მან თავისი გადაწყვეტილება უტყუარ მტკიცებებს უნდა დააფუძნოს. ამის გარეშე რუსთავი 2-ის საქმეზე გადაწყვეტილების მიღება მოსამართლის დაღუპვა და მართლმსაჯულების მარცხი იქნება.

ბევრი ადამიანი ვიცი, რომლებსაც მართლა წაართვეს ქონება. იქ არის ასჯერ მეტი მტკიცება, ვიდ?ე რუსთავი 2-ის საქმეში, მაგრამ ის საკითხები ჯერ გადასაწყვეტია, ამიტომ მოსამართლე ძალიან რთულ მდგომარეობაშია. ლუპის ქვეშ უყურებენ მის საქმიანობას.

ვფიქრობ, ეს საქმე ყველა ინსტანციას გაივლის და სტრასბურგში წავა. იმედი მაქვს, ამ საქმეზე უსაფუძვლო, უკანონო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება არ გამოვა.

– სააკაშვილ-ბოკერიას საუბრის სკანდალურ ჩანაწერზე რას იტყვით?

– თვითონ ეს ჩანაწერი, რომელიც ვიკილიქსმა გამოაქვეყნა, თავისთავად არაფერზე მიანიშნებს. მას გამოძიება სჭირდება. ტექსტია, ქალი უნდა მოკლან, რომელსაც ბავშვი ჰყავს... რა თქმა უნდა, ეს საშინელებაა. ბოკერია დაიკითხა. სააკაშვილს როგორ დაკითხავენ, არ ვიცი, მაგრამ, თუ გამოძიებამ ამ საუბრის ორიგინალური ტექსტი ხელში ვერ ჩაიგდო, ვერ მოახდინა ხმის იდენტიფიცირება, მას პერსპექტივა არ ექნება.

თუ ექსპერტიზა იტყვის, რომ ეს სააკაშვილის ხმაა, დაუმონტაჟებელია, მაშინ საქმე გვაქვს კონკრეტულ დანაშაულთან. სააკაშვილს ვერ დავკითხავთ და, ალბათ, ეს საკითხი ღია დარჩება. რამდენად მისცემდა სააკაშვილი ასეთ დავალებას, მის თავში უნდა ჩავიხედოთ. ამაზე პასუხს ვერ გაგცემთ. იქ ისეთი ტექსტია, თუ ეს მოხდებოდა, აქ არეულობა დაიწყებოდა.

– რუსთავი 2-ის ხელში ჩაგდება ხელისუფლების ინტერესებშია?

– ჩვენ თვითონ შევქმენით ისეთი აჟიოტაჟი, მათ შორის ხელისუფლებამ იმდენჯერ დაიწყო თავის მართლება, რომ დასავლეთს მივეცით საბაბი, ასეთი დასკვნებისკენ წასულიყო.

პირდაპირ გეტყვით, რუსთავი 2 არ აკეთებდა ხელისუფლებისთვის მისაღებ გადაცემებს, რაც ხელისუფლებას ნამდვილად არ მოსწონდა, მაგრამ, არა მგონია, ამ გზით, თუ ვინმემ მართლა ეს ჩაიფიქრა, ხელისუფლებამ რამე მოგებას ნახოს.

საერთო ჯამში, ეს იქნება წაგება. თუ ხელისუფლება უნარიანია, მან უნდა დაამტკიცოს, რომ ეს მის ინტერესებში არ შედიოდა და, პირიქით, ეს კამპანია მისთვის საზიანო იყო.

ნოტარიუსი მალე საქართველოს ყველა რაიონს ეყოლება

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდა გამოაცხადა. ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდა ნოტარიუსის თანამდებობის დაკავების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. ნოტარიუსად დანიშვნის მსურველებს შანსი აქვთ, საკუთარ ქვეყანას იმ დასახლებაში ემსახურონ, სადაც მოსახლეობას მათი დახმარება სჭირდება.

ნოტარიუსად დანიშვნის პირობებსა და ახალ წესზე გვესაუბრება ნოტარიუსთა პალატის გამგეობის თავმჯდომარე ნინო ხოფერია.

როდის ჩატარდება საკვალიფიკაციო გამოცდა და ვის აქვს მასში მონაწილეობის უფლება?

ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდა ჩატარდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასწავლო ცენტრში, ორ ეტაპად: 13-14 ნოემბერს დანიშნულია ტესტირება ზოგად უნარ-ჩვევებში, ხოლო 20-21 ნოემბერს – ტესტირება პროფესიულ ნაწილში. გამოცდის ჩაბარების მსურველთა საბუთების მიღება დაიწყო 12 ოქტომბრიდან და გაგრძელდება 8 ნოემბრამდე.

ნოტარიუსთა საკვალფიკაციო გამოცდის ჩაბარების უფლება აქვს უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე საქართველოს მოქალაქეს, საკმარისია ბაკალავრის დიპლომიც. ასე რომ, იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრანტებს გამოცდის ჩაბარება შეუძლიათ.

ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება საკმარისია ნოტარიუსის თანამდებობის დასაკავებლად?

არა, იმისთვის, რომ ნოტარიუსად დაინიშნოთ, გამოცდის ჩაბარებასთან ერთად, საჭიროა ნოტარიუსთა პალატის სასწავლო ცენტრში სტაჟირების გავლა. სტაჟირების გავლისგან თავისუფლდება პირი, რომელსაც აქვს სახელმწიფო სამსახურში იურისტად მუშობის 5 წლის სტაჟი.

მალე ჩატარდება სტაჟირების კონკურსიც ნოტარიუსთა პალატის სასწავლო ცენტრში. სტაჟირება რვათვიანია და მისი დასრულების შემდეგ სტაჟიორი საფუძვლიანად ფლობს სანოტარო საქმიანობისთვის აუცილებელ თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს.

რა პრინციპით მოხდება შემდგომ მათი ნოტარიუსებად დანიშვნა?

იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული „ნოტარიატის შესახებ“ კანონში ცვლილებების პროექტის თანახმად, ყველა ახლად დანიშნული ნოტარიუსი, პირველი სამი წლის განმავლობაში, საქმიანობას განახორციელებს მაღალმთიან დასახლებაში ან ისეთ მუნიციპალიტეტში, სადაც სანოტარო სერვისი სათანადოდ ხელმისაწვდომი არ არის. აღნიშნული კანონპროექტი მთავრობის სხდომაზე უკვე დაამტკიცდა და ამჟამად მას პარლამენტი იხილავს.

რატომ გახდა საჭირო კანონში ამ ცვლილების შეტანა?

საქართველოში ჯერ კიდევ ბევრი მუნიციპალიტეტია, სადაც წლებია, სანოტარო ბიურო არ მოქმედებს, ან სანოტარო მომსახურება სათანადად არ არის ხელმისაწვდომი.

იუსტიციის მინისტრმა 2013-2014 წლებში ნოტარიუსები დანიშნა არაერთ ისეთ მუნიციპალიტეტში, სადაც მანამდე ნოტარიუსი არ იყო, თუმცა, მაშინ ნოტარიუსების დანიშვნა ზეპირი შეთანხმების საფუძველზე მოხდა და ზოგიერთმა ნოტარიუსმა საქმიანობის გაგრძელება თბილისში არჩია. კანონპროექტი აღნიშნულ პრობლემას გადაჭრის და ნოტარიუსები სამი წლის განმავლობაში მოემსახურებიან საკუთარ ხალხს ისეთ დასახლებებში, სადაც მოსახლეობას მათი დახმარება სჭირდება. სამი წლის შემდეგ მათ უკვე შეეძლებათ, საქმიანობა მათთვის სასურველ ქალაქსა თუ მუნიციპალიტეტში გააგრძელონ.

უნდა აღვნიშნო, რომ იუსტიციის სამინისტროს მიერ ნოტარიატში დაწყებული რეფორმა ნოტარიუსთა საერთაშორისო კავშირის ნოტარიატის საერთაშორისო თანამშრომლობის კომისიის პრეზიდენტმა მიშელ მერლოტმა პოზიტიურად შეაფასა და დაახასიათა, როგორც ლათინური ნოტარიატის პრინციპებთან დაახლოების კიდევ ერთი ნაბიჯი.

კანონდებლობა ამ ნოტარიუსებისთვის დახმარებას თუ ითვალისწინებს?

რა თქმა უნდა, კანონით შემოვა ვალდებულება, რომ ნოტარიუსთა პალატამ ახლად დანიშნულ ნოტარიუსებს ამ სამი წლის განმავლობაში ფინანსური დახმარება გაუწიოს. ეს იქნება სანოტარო ბიუროსა თუ საცხოვრებელი ბინის ქირა, ბიუროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფა თუ სხვა ფინანსური დახმარება, რომელიც, საგადასახადო კოდექსის თანახმად, გადასახადისგან გათავისუფლდება.

ასევე, ნოტარიუსობის კანდიდატს, რომელიც დაინიშნება მაღალმთიან, ან ისეთ დასახლებაში, სადაც სანოტარო მომსახურება ხელმისაწვდომი არ არის, საკვალიფიკაციო გამოცდაში მონაწილეობისთვის გადახდილ საფასურს აუნაზღაურებს ნოტარიუსთა პალატა.

ძვალ-სახსრთა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

რუსული სამგზავრო თვითმფრინავი ისლამისტმა მებრძოლებმა ჩამოაგდეს?

ბურუსით მოცული კატასტროფა

31 ოქტომბერს კატასტროფა განიცადა რუსულმა სამგზავრო თვითმფრინავმა, რომელიც ეგვიპტიდან სანკტ-პეტერბურგში მიფრინავდა.

რუსული ავიაკომპანია კოგალიმავიას ლაინერი Airbus A-321 შარმ ელ შეიხის აეროპორტიდან მოსკოვის დროით დილის 06:51-ზე აფრინდა. 07:11-ზე მან 748 კმ/სთ სიჩქარე და 10.210 მ სიმაღლე აკრიფა. 07:13-ზე მისი სიჩქარე მოულოდნელად ჯერ 341 კმ/სთ-მდე, შემდეგ კი 172 კმ/სთ-მდე დაეცა. ფრენის სიმაღლე 8.649 მ-მდე შემცირდა.

ამ მომენტიდან ჩანაწერები გაქრა. როგორც ჩანს, თვითმფრინავის ტრანსპორდერმა მონაცემების გადაცემა შეწყვიტა.

აფრენის შემდეგ ლაინერის მფრინავი დისპეტჩერს დაუკავშირდა და ტექნიკური ხარვეზების შესახებ აცნობა. მფრინავმა ასევე მარშრუტის შეცვლა და კაიროს აეროპორტში დაშვება ითხოვა, რის შემდეგაც თვითმფრინავთან კავშირი შეწყდა.

ლაინერი სინაის ნახევარკუნძულზე, პროვინცია ჩრდილო სინაის მთიან რაიონში, ქალაქ ელ არიშის სიახლოვეს ჩამოვარდა. წინასწარი ვერსიით, თვითმფრინავმა კატასტროფა ტექნიკური გაუმართაობის გამო განიცადა.

მომხდართან დაკავშირებით რუსეთში სისხლის სამართლის საქმე „ფრენის წესების დარღვევის“ მუხლით აღიძრა. კატასტროფის მიზეზების გამოძიება ეგვიპტის გენერალურმა პროკურატურამაც დაიწყო.

კატასტროფის შედეგად ბორტზე მყოფი ყველა ადამიანი დაიღუპა. სულ ბორტზე 217 მგზავრი და ეკიპაჟის 7 წევრი იმყოფებოდა.

ეგვიპტეში მომხდარი ტრაგედიის გამო რუსეთში 1ოემბერი გლოვის დღეს გამოცხადდა.

* * *

31 ოქტომბერს ისლამური სახელმწიფოს მებრძოლებმა სოციალურ ქსელში განაცხადეს, რომ რუსული სამგზავრო თვითმფრინავი მათ ჩამოაგდეს.

როგორც როიტერი იტყობინება, სინაის ნახევარკუნძულზე მოქმედმა ისლამური სახელმწიფოს მებრძოლებმა მომხდარისთვის პასუხისმგებლობა აიღეს. ოფიციალური განცხადება მათ სოციალური ქსელებით გაავრცელეს.

რუსული მედია წერს, რომ ტერორისტებმა თვითმფრინავი საზენიტო რაკეტით ჩამოაგდეს.

– ისლამური სახელმწიფოს მებრძოლებმა პროვინცია სინაიში რუსული თვითმფრინავის ჩამოგდება შეძლეს, რომლის ბორტზეც 220 რუსი ჯვაროსანი იმყოფებოდა. მადლობა ღმერთს, ყველა მათგანი მოკლულია, – ნათქვამია ისლამისტთა განცხადებაში.

როგორც ბიბისი აღნიშნავს, რუსულმა თვითმფრინავმა კატასტროფა სინაის ნახევარკუნძულის იმ რაიონში განიცადა, სადაც შეიარაღებული მებრძოლები აქტიურობენ.

რუსეთის ტრანსპორტის მინისტრმა მედიაში გავრცელებული ეს ინფორმაცია უარყო, გერმანულმა ლუფტჰანზამ და ფრანგულმა ერ ფრანსმა კი სინაის ნახევარკუნძულის მიმართულებით ფრენები დროებით შეაჩერეს.

აღნიშნული ავიაკომპანიები გადაწყვეტილების მიზეზად 31 ოქტომბერს მომხდარ ავიაკატასტროფას ასახელებენ. ისინი სინაის ნახევარკუნძულის თავზე ფრენების შეჩერებას იქამდე გეგმავენ, ვიდრე არ გაირკვევა, რამ გამოიწვია რუსული სამგზავრო თვითმფრინავის კატასტროფა.

– ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, თავი ავარიდოთ ამ ტერიტორიაზე ფრენას, ვინაიდან ავიაკატასტროფის მიზეზი და მასთან დაკავშირებული სიტუაცია არ არის ნათელი, – განაცხადა ლუფტჰანზას წარმომადგენელმა.

მისი განმარტებით, მათ კომპანიას დღეში არანაკლებ 10 რეისი აქვს აღნიშნული მიმართულებით.

მედიასთან იმავე ტიპის კომენტარი გააკეთა ერ ფრანსის წარმომადგენელმაც, რომელმაც ასევე დაადასტურა, რომ გადაწყვეტილება უსაფრთხოების მიზნით იქნა მიღებული.

* * *

რუსული მედია წერს, რომ ირბუს A-321-მა პირველი ფრენა 18,5 წლის წინ, 1997 წლის 9 მაისს განახორციელა.

ჩამოვარდნილი ლაინერის მეთაურ ვალერი ნემოვს 12.000 საათი ჰქონდა ნაფრენი.

ამის შესახებ კოგალიმავიას წარმომადგენელმა განაცხადა. მისივე თქმით, თვითმფრინავი სრულად იყო გამართული.

– შარმ ელ შეიხიდან გამოფრენის წინ რუსულმა თვითმფრინავმა გაიარა ტექნიკური შემოწმება და რაიმე სახის უწესრიგობა აღმოჩენილი არ ყოფილა, – განაცხადა ეგვიპტის მხარემ.

რუსეთის ტრანსპორტის მინისტრ მაქსიმ სოკოლოვის თქმით კი თვითმფრინავს ჰქონდა ყველა ნებართვა და ფრენის სერტიფიკატი.

ექსპერტი ფრიდლიანდი ამბობს, რომ გაფრენის წინ ხდება ძრავის ჩართვა და მისი შემოწმება.

– შემოწმების დროს ავტომატიკა აჩვენებს სხვადასხვა პარამეტრებს. თუ რამე ისე არ არის, ეკიპაჟი არ აფრინდება. ისინი თვითმკვლელები ხომ არ არიან, – აცხადებს რუსი ექსპერტი.

ის გამორიცხავს თვითმფრინავის რაკეტით ჩამოგდებას, თუმცა შესაძლებლად მიიჩნევს აფეთქებას საბარგო განყოფილებაში.

ჯერჯერობით ყველაფერი ბურუსითაა მოცული. შავი ყუთის გაშიფვრის შემდეგ, ალბათ, მეტ დეტალზე საუბარი გახდება შესაძლებელი.

სირიაში გარდამავალი მთავრობა შეიქმნება

რაზე შეთანხმდნენ 19 ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები

19 ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები ვენაში გამართულ მოლაპარაკებებზე, სირიაში გარდამავალი მთავრობის შექმნაზე შეთანხმდნენ.

მხარეებმა 9-პუნქტიანი დოკუმენტი მიიღეს, რომლის მიხედვითაც, ჰუმანიტარული დახმარების მიწოდება უზრუნველყოფილი უნდა იყოს სირიის მთელ ტერიტორიაზე და ისლამური სახელმწიფო და გაეროს ექსტრემისტული ორგანიზაციების სიაში შეყვანილი სხვა დაჯგუფებები უნდა განადგურდეს.

სირიაში უნდა შენარჩუნდეს ერთიანი საერო სახელმწიფო, უნდა გააქტიურდეს კონფლიქტის დასრულებისკენ მიმართული ძალისხმევა. გარდა ამისა, ჩატარდება საერთაშორისო დონის შეხვედრა, რომელშიც ბაშარ ალ-ასადის მთავრობისა და ოპოზიციის წევრები მიიღებენ მონაწილეობას.

ამ შეხვედრის შედეგად, უნდა შეიქმნას ახალი გარდამავალი მთავრობა, რომელიც ქვეყანას ახალ არჩევნებამდე უხელმძღვანელებს, რის შემდეგაც სირიაში ახალ კონსტიტუციას მიიღებენ. პოლიტიკურ პროცესში მონაწილე ქვეყნები სირიის მთელ ტერიტორიაზე მშვიდობიანი ზავის დადებას უზრუნველყოფენ, თუმცა ისლამურ სახელმწიფოსთან სამშვიდობო შეთანხმება არ დაიდება.

როგორც აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ განაცხადა, მოსკოვისა და ვაშინგტონის პოზიცია ბაშარ ალ-ასადის მომავლის შესახებ კვლავ განსხვავებულია.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის განცხადებით, ასადის ბედი სირიელმა ხალხმა უნდა გადაწყვიტოს.

ვენაში გამართულ მოლაპარაკებებში გაეროს, ევროკავშირის, რუსეთის, აშშ-ის, გერმანიის, საფრანგეთის, ირანისა და სხვა სახელმწიფოების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

მორიგი შეხვედრა ორ კვირაში გაიმართება.

ბერძნულ კუნძულთან 11 მიგრანტი დაიღუპა

სულ მცირე, 11 მიგრანტი დაიღუპა ნავის ჩაძირვის შედეგად ეგეოსის ზღვაში, კუნძულ სამოსთან. დაღუპულთა შორის 6 ბავშვია, 5 კი – ქალი.

დაღუპულთაგან 10-ის ცხედარი კაიუტებში იპოვეს, მე-11 – მცირეწლოვანი გოგონას ცხედარი კი – ნაპირზე.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ნავი ნაპირიდან 20 მეტრში, კლდოვან რაიონში ჩაიძირა. 15 ადამიანის გადარჩენა მოხერხდა. დაღუპულთა ძებნა კვლავ მიმდინარეობს.

ᲙᲐᲚᲔᲘᲓᲝᲡᲙᲝ�პᲘ

სამი წლის კორეელი ინსტაგრამის ვარსკვლავი გახდა

სამი წლის სამხრეთკორეელი ჯე ინი სოციალური ქსელების აზიელ მომხმარებელთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს, რომელიც მას ინსტაგრამში თავისი დედის აკაუნტმა მოუტანა. იმის გამო, რომ ქალი ქსელში რეგულარულად ბეჭდავდა თავისი გოგონას ცხოვრების ამსახველ ფოტოსურათებს, მისი თაყვანისმცემლების რაოდენობა 270 ათასამდე გაიზარდა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბავშვის დედა იაპონურ-კორეული წარმომავლობისაა, ხოლო მამა კორეელია, ამიტომ ინი უჩვეულო გარეგნობით გამოირჩევა და ქსელის როგორც იაპონელი, ისე კორეელი მომხმარებლები მას ძალიან მომხიბვლელად მიიჩნევენ.

სამი წლის ბავშვი თავის ქვეყანაში ყველაზე ცნობად ვარსკვლავად იქცა და მისი ყოველი ფოტოსურათი მინიმუმ ათი ათას მოწონებას აგროვებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

დღეს მედიცინა ეკოლოგიურად სუფთა, ბუნებრივ პროდუქტებზე დამზადებულ წამლებს ანიჭებს უპირატესობას. საქართველოში ამ მხრივ ერთ-ერთი გამორჩეულია თოდუების საგვარეულო წამლები და მალამოები.

თოდუების გვარის წარმომადგენელია ლამარა თოდუა, რომელიც წარმატებით მიჰყვება თავის საქმიანობას. ამაზე მეტყველებს მადლიანი პაციენტების უამრავი ჩანაწერი.

ლამარა თოდუა აცხადებს, რომ მის საგვარეულო წამლებს უკუჩვენება არ აქვს.

ᲚᲐᲛᲐᲠᲐ ᲗᲝᲓᲣᲐ:

● ვკურნავ ნაწოლებს ყოველგვარი ნაწიბურის გარეშე. მცენარეული ნაყენებით გაგიწმენდთ ორგანიზმს. ახალნამშობიარებ დედებს თუ მკერდი გაუმაგრდათ, ჩემი მალამოებით შვებას იგრძნობენ, სადინარები გაეხსნებათ და არანაირი მასაჟის ჩატარება საჭირო აღარ არის.

● ვარჩენ „პრიშჩიკებს“, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, ჩირქოვან სოკოვანებს, გასქელებულ ფრჩხილებს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ჰაიმორიტისგან განიკურნებით 10 დღეში. ვაშორებ ქერტლს, გამონაყარს, ვაჩერებ თმის ცვენას.

● ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ვარჩენ თმის ჩაბრუნებას, რომელიც სრულად იკურნება.

● ● ●

ლამარა თოდუა პროფესიით კოსმეტოლოგია, ამიტომ გთავაზობთ კანის გაწმენდას ძველი და ახალი მეთოდებით, სამკურნალო ნიღბებით, რაც სახის კანის გაღიზიანებას არ იწვევს. მის მიერ დამზადებული მკვებავი, დამცავი კრემები და ლოსიონები მხოლოდ მცენარეული და ბუნებრივი მასალაა.

ᲛᲘᲡ.: ᲝᲗᲐᲠ ᲭᲘᲚᲐᲫᲘᲡ Ქ. №166; №10 ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲓᲐ №1 ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘᲡ ᲣᲙᲐᲜ; ᲢᲔᲚ.: 230-62-52; 599-16-10-82

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ

ᲕᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘ

● პროფესიონალი გიტარისტი და მომღერალი შევასწავლი გიტარაზე და ფანდურზე დაკვრას და სიმღერას ხმის დამუშავებით (მათ შორის, დაბალი სმენითი მონაცემების მსურველებსაც – რეალური შედეგით), კარგი მონაცემების შემთხვევაში საინტერესო პერსპექტივით სცენასთან დაკავშირებით. მიმდინარეობს შევსება, ასაკი შეუზღუდავია. ტელ: 599-72-00-42; 558-35-39-60; 279-07-72.

ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲐ

● ექიმი პროფესიონალი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას, სათესლე ჯირკვლების ანთებას, ასოს, შარდსადინარის, პროსტატის ყველა სახის დაავადებას, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას. გვაქვს ინტიმური ურთიერთობების მოსაწესრიგებელი უვნებელი „ერექტორები“. კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● სმენის აღდგენა სწრაფად, წამლების, აპარატურისა და ოპერაციის გარეშე, გამომწვევი მიზეზისა და ასაკის მიუხედავად. პაციენტები მიიღებიან მხოლოდ წინასწარი ჩაწერით. ფასი 300 ლარი. მის: დიდი დიღომი, III მ/რ, კორპუსი 20. ტელ: 599-97-85-46 ლევანი.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბრონაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, ნნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● მაღალკვალიფიციური ონკო-დერმატოლოგი უოპერაციოდ, წამალტებით მკურნალობს: ბაზალიომას, კერატომას, ჰიპერკერატოზს, მელანომას, გრანულომას, პაპილომას, ათერომას, კონდილომას, ჰემანგიომას, ხალებს, რთულ მეჭეჭებს, კოჟრებს (მაზოლებს), ქუთუთოებში ქოლესტერინის დაგროვებას, წანაზარდებს სასქესო ორგანოებზე და ყოველგვარ მსგავს ხორცმეტებს. გირჩევთ დროზე მოიშოროთ საშიში წარმონაქმნები! მის: რევაზ ლაღიძის 8 (ოპერის უკან), კლინიკა „მედიკომი“, კაბ. 322, მობ: 599-90-91-74.

ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ

● ან გირავდება ბინა 3 ოთახი დიღმის მასივში, 87 კვადრატული მეტრი. ძველი რემონტით, გეპეის კორპუსში, ან მთლიანად 186 კვადრატული მეტრი. ტელ: 568-00-22-20 თამარი.

ᲜᲐᲗᲔᲚᲛᲮᲘᲚᲕᲔᲚᲘ

● ნათელმხილველი დარეჯანი ისრაელში მუშაობის შემდეგ მიღებას აგრძელებს თბილისში. მიღება წინასწარი ჩაწერით. აქვე მოიხსნით მრავალი სახის პრობლემას. ტელ: 555-75-90-62.

დილის მოულოდნელი მარცხი

გაიმართა საქართველოს საფეხბურთო პირველობის მორიგი ტურის მატჩები.

კოლხეთი – საბურთალო 1:0

ლანჩხუთი. ევგრაფი შევარდნაძე

1:0 გიგაური (10)

კოლხეთი: სეფიაშვილი, ქებურია, ჩაკვეტაძე, თევზაძე, ლემონჯავა, კოშკაძე (გოგონაია), პოლულიახი, გიგაური, ჟიშკარიანი, სიჭინავა (კუხალეიშვილი), კვარაცხელია (შენგელია)

საბურთალო: ქურდაძე, ბულუხაძე, მარგველაშვილი, ჩაბრაძე, თოთაძე, ალთუნაშვილი, ნიკოლაშვილი (გვარაძე), ფანცულაია (ჩოგაძე), გოშთელიანი, რუხაძე (ხორხელი), კოხრეიძე

უმაღლესი ლიგის მეათე ტურში ფოთის კოლხეთი ლანჩხუთში დაუხვდა საბურთალოს და 1:0 მოიგო. მატჩის ერთადერთი გოლი მერაბ გიგაურმა მე-10 წუთზე გაიტანა.

მატჩი ევგრაფი შევარდნაძის სახელობის სტადიონზე ჩატარდა, რომლის გაზონი ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. ორივე გუნდის ფეხბურთელებს ბურთის მიღება და ზუსტი გადაცემების გაკეთება უჭირდათ. მიუხედავად ამისა, სახიფათო მომენტები ორივე კართან შეიქმნა, თუმცა საბოლოოდ მატჩი ფოთელთა გამარჯვებით დასრულდა.

დილა – შუქურა 1:3

გორი. თენგიზ ბურჯანაძე

1:0 მარცვალაძე (18), 1:1 ჩელებაძე (65პ), 1:2, 1:3 ურიდია (75, 90)

გაძევება ნავალოვსკი (64დ)

დინამო (ბთ) – სიონი 3:5

ქობულეთი. ჩელე არენა

0:1 ტატანაშვილი (36), 1:1 ლუის ალბერტო (45), 1:2 ტატანაშვილი (48), 1:3 ისიანი (57), 2:3 ტეტუნაშვილი (65), 2:4 სვანიძე (78), 2:5 ტატანაშვილი (89), 3:5 ქავთარაძე (90)

მერანი – ლოკომოტივი 0:3

მარტვილი. მურთაზ ხურცილავა

0:1 ქანთარია (7), 0:2 არმთელაძე (10), 0:3 ქანთარია (66)

28-ე წუთზე ხიდეშელმა (ლ) ვერ გამოიყენა პენალტი

გაძევება: კუპატაძე (46ლ)

ცხინვალი – სამტრედია 1:0

თბილისი. მიხეილ მესხი

1:0 ლეკვთაძე (10)

გაძევება: ლობჟანიძე (66ც)

ზუგდიდი – საპოვნელა 2:1

ზუგდიდი. ბაიას ბაზა

0:1 ჯიმშელეიშვილი (26), 1:1 თუთბერიძე (49), 2:1 წურწუმია (65პ)

სატურნირო ცხრილი:

1.დილა	10	7	1	2	18-9	22
2.დინამო (თბ)	9	7	1	1	23-7	22
3.სიონი	9	6	2	1	16-7	20
4.სამტრედია	10	6	1	3	25-14	19
5.ცხინვალი	10	6	1	3	23-15	19
6.შუქურა	10	6	1	3	14-9	19
7.ჩიხურა	9	4	2	3	13-6	14
8.დინამო (ბთ)	10	3	4	3	18-13	13
9.კოლხეთი	10	4	1	5	8-11	13
10.საბურთალო	10	4	1	5	12-16	13
11.ლოკომოტივი	10	3	1	6	13-17	10
12.ტორპედო	9	2	3	4	10-14	9
13.გურია	9	2	3	4	8-14	9
14.საპოვნელა	10	2	2	6	8-20	8
15.ზუგდიდი	9	1	2	6	10-26	5
16.მერანი	10	1	0	9	7-28	3

კალათბურთი: წაუგებელი სოხუმი და მოუგებელი აკადემია

გაიმართა საქართველოს საკალათბურთო პირველობის მორიგი ტურის მატჩები.

ოლიმპი – ბათუმი 75:81

(19:15; 18:20; 23:27; 15:19)

მატჩი საკმაოდ საინტერესო და თანაბარი გამოდგა. პირველმა ტაიმმა ვერაფერი გაარკვია. ის მცირე უპირატესობა, რომელიც თბილისურმა გუნდმა პირველ მეოთხედში მოიპოვა, აჭარლებმა დიდ შესვენებამდე გააბათილეს, თუმცა მეორე პერიოდის ბოლო წუთზე სტუმართა გამთამაშებელმა ირაკლი მიქელაძემ ტექნიკური ჯარიმა მიიღო და ოლიმპი მეორე ტაიმს 2-ქულიანი ლიდერობით შეხვდა – 37:35.

ბათუმელთა შემადგენლობაში გამოირჩეოდა ახალი ლეგიონერი, უკრაინელი სერგეი სტეპანიშინი, რომელმაც დაცვაშიც კარგად ითამაშა და საკვანძო ეპიზოდში რამდენიმე მნიშვნელოვანი ბურთიც ჩააგდო. ოლიმპელებმა კი 4 ლეგიონერით ითამაშეს.

მესამე პერიოდში ბათუმელებმა უპირატესობა მოიპოვეს, მაგრამ მისი შენარჩუნება ვერ შეძლეს და თამაში თანაბარ კალაპოტს დაუბრუნდა. ოლიმპი ძირითადად კახა ტომარაძის შორი სროლების იმედად იყო. გავიდოდნენ სტუმრები 6-8 ქულით წინ და ამას მყისიერად ტომარაძის სამქულიანი მოჰყვებოდა.

ბოლო პერიოდის წინ ბათუმი 2 ქულით ლიდერობდა, თუმცა ოლიმპი ისე ათამაშდა, რომ მალე წინაც გავიდა.

მატჩის ბოლო წუთებმა ქულა-ქულა ბრძოლაში ჩაიარა. საფინალო სირენამდე 1 წუთით ადრე ბესო ლეჟავამ ორქულიანით ბათუმელები 75:73 დააწინაურა. შემდეგ აჭარულმა გუნდმა დაცვაში ბურთი აიღო და აკაკი დვალიშვილმა სტუმართა უპირატესობა 4 ქულამდე გაზარდა, რითაც გამარჯვების ვინაობა, ფაქტობრივად, გაარკვია.

საბოლოოდ ბათუმმა 81:75 მოიგო. აჭარულ გუნდში 22 ქულითა და 22 მოხსნით საუკეთესო იყო აკაკი დვალიშვილი, ბესო ლეჟავას ანგარიშზე კი 20 ქულა დაგროვდა. ოლიმპში 22 ქულით ბომბარდირი გახდა კახა ტომარაძე, ოსტინ სტიდმა კი 18 ქულა და 14 მოხსნა მიითვალა.

ქუთაისი – რუსთავი 86:75

(19:31; 29:16; 14:11; 24:17)

იმერეთს რუსთავი ესტუმრა, რომელსაც ეროვნული ნაკრების კანდიდატი ბექა წივწივაძეც დაემატა, არადა, წივწივაძემ დუდუ დადიანის თასზე ქუთაისის შემადგენლობაში ითამაშა.

სპეციალისტები თვლიდნენ, რომ მატჩი საინტერესო უნდა შემდგარიყო. დაძაბულობა იყო, თუმცა პირველ ტაიმში. მესამე მეოთხედიდან მასპინძლებმა თამაში დაალაგეს, უპირატესობა მოიპოვეს და გამარჯვებამდე დაძაბულობის გარეშე მივიდნენ.

რუსთავმა ხსენებული წივწივაძისა და გიორგი გამყრელიძის გარეშე წინა ტურში დინამო დაამარცხა და ქუთაისშიც, რა თქმა უნდა, მხოლოდ მოსაგებად ჩავიდა. ქვემოქართლელებს ჰქონდათ უპირატესობა, სერბი ფორვარდის, ნიკოლა გაჩეშას შედეგიანობით სტუმართა გუნდმა პირველი მეოთხედი 31:19 მოიგო, მაგრამ ლიდერობა დიდ შესვენებამდე გაანიავა. ქუთაისელებმა გუნდური თამაშის წყალობით ჩამორჩენა აღმოფხვრეს და კოტე ტუღუშის გუნდი ბრწყინვალედ ჩატარებული პერიოდის შემდეგ ტაიმის შემდეგ 48:47 დაწინაურდა.

მესამე პერიოდიდან ქუთაისელები შეუჩერებლები იყვნენ. მართალია, მასპინძლებმა მომდევნო ათწუთიულში მხოლოდ 4 ქულამდე გაზარდეს უპირატესობა, თუმცა ბოლო პერიოდი 9:0 გაქცევით დაიწყეს, 15-ქულიანი უპირატესობა მოიპოვეს და საქმე მოათავეს. სტუმრებს 15 ქულის დარჩენილ 5 წუთში გაბათილება არ გამოუვიდათ, რადგან ამის უფლება ქუთაისელებმა ქვემოქართლელებს არც მისცეს – 85:76.

გამარჯვებულთაგან 18 ქულით საუკეთესო იყო გიორგი ბარბაქაძე. 12 ქულა, 7 პასი და 5 მოხსნა იმერლებისთვის ზაურ ფაშაევმა გაიღო, ხოლო ბექა ბექაურმა შეხვედრა 11 ქულით დაასრულა.

რუსთაველთაგან 19 ქულითა და 12 მოხსნით გაჩეშა გამოირჩა.

დინამო – მგზავრები 48:42

(9:9; 14:9; 9:12; 16:12)

ტურის ყველაზე უშედეგო მატჩი. ორივე გუნდმა მთლიანობაში 90 ქულა მიითვალა. მატჩის დასრულებამდე 6 წუთით ადრე დინამო 36:30 იგებდა და იყო შანსი, ყველა დროის ანტირეკორდი დაფიქსირებულიყო, თუმცა დარჩენილ დროში გუნდებმა 24 ქულა მოიპოვეს.

დინამოელთაგან მხოლოდ ხუთმა კალათბურთელმა ჩააგდო ბურთები – უილიამსმა, მაკალპინმ, ლონდარიძემ და შარაბიძემ 10-10 ქულა ჩააგდეს, შვანგირაძემ კი – 8. მგზავრებში კი 16 ქულით საუკეთესო კახა ჯინჭარაძე იყო.

აკადემია – სოხუმი 71:90

(10:24; 19:25; 15:23; 27:18)

ცხრილის სხვადასხვა პოლუსებზე მყოფი გუნდების მატჩი ვერ გამოდგა დაძაბული – ფავორიტმა სოხუმმა იოლად სძლია სუპერლიგის დებიუტანტ აკადემიას.

სოხუმი ერთადერთი გუნდია, რომელსაც მიმდინარე სეზონში წაგება არ განუცდია, ხოლო აკადემია – ერთადერთი მოუგებელი კლუბი. შესაბამისად, პირობითად შეიძლება, აკადემიელები ჩემპიონატის აუტსაიდერებად მივიჩნიოთ. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ასეა – გელა წულაძის გუნდმა ჩემპიონატის სამივე შეხვედრა წააგო და ყველა – 18 ქულაზე მეტით.

ვაჟა კვარაცხელიას გუნდმა პირველი პერიოდის 24:10 მოგების შემდეგ სხვაობა კიდევ გაზრდა და გამარჯვებულის ვინაობა დიდი შესვენებისთვის გაარკვია – 49:29.

მეორე ტაიმში კვარაცხელიამ თავის გამოჩენის საშუალება ახალგაზრდებსაც მისცა და მოედანზე განაცხადში მყოფი ყველა კალათბურთელი შეიყვანა, თან ყველას სათამაშო დრო საკმარისად გადაუნაწილა. საბოლოოდ სოხუმელებმა 90:71 იმარჯვეს და სუპერლიგის ერთადერთი დაუმარცხებელი გუნდის სტატუსი წარმატებით შეინარჩუნეს.

სოხუმში 19 ქულით ბომბარდირი ამერიკელი ფილიპ მილერი გახდა, გიგა კვეტენაძემ კი 16 ქულა და 8 მოხსნა მიითვალა. მეორე ამერიკელმა, მეთიუ გლოვერმა, ორმაგი დუბლი შეასრულა – 10 ქულა, 14 მოხსნა. აღსანიშნავია, რომ არცერთი სოხუმელი მოედნიდან უქულოდ არ გასულა.

აკადემიაში 16 ქულითა და 10 მოხსნით ორმაგი დუბლი შეასრულა ბელარუსმა ვლადიმერ კრისევიჩმა, კოკა ტომარაძის ანგარიშზეც 16 ქულა დაგროვდა.

სატურნირო ცხრილი:

1.სოხუმი	3	3	0	237:184	6
2.ქუთაისი	3	2	1	256:226	5
3.დინამო	3	2	1	193:193	5
4.ბათუმი	3	2	1	223:225	5
5.ოლიმპი	3	1	2	221:210	4
6.რუსთავი	3	1	2	223:231	4
7.მგზავრები	3	1	2	189:202	4
8.აკადემია	3	0	3	207:278	3

შედეგები

30, 31 ოქტომბერი

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

ჩელსი-ლივერპული 1:3
სუონსი-არსენალი 0:3
სიტი-ნორვიჩი 2:1
კრ.პალასი-მანჩესტერი 0:0
ნიუკასლი-სტოკი 0:0
უოტფორდი-ვესტ ჰემი 2:0
ვესტ ბრომვიჩი-ლესტერი 2:3

სატურნირო ცხრილი:

1.სიტი	11	8	1	2	26-9	25
2.არსენალი	11	8	1	2	21-8	25
3.ლესტერი	11	6	4	1	23-19	22
4.მანჩესტერი	11	6	3	2	15-8	21
5.ვესტ ჰემი	11	6	2	3	22-15	20
6.ტოტენჰემი	10	4	5	1	16-8	17
7.ლივერპული	11	4	5	2	12-12	17
8.კრ.პალასი	11	5	1	5	12-11	16
9.უოტფორდი	11	4	4	3	10-10	16
10.საუთჰემპტონი	10	3	5	2	16-13	14
11.ვესტ ბრომვიჩი	11	4	2	5	10-14	14
12.ევერტონი	10	3	4	3	13-13	13
13.სუონსი	11	3	4	4	12-15	13
14.სტოკი	11	3	4	4	9-12	13
15.ჩელსი	11	3	2	6	16-22	11
16.ნორვიჩი	11	2	3	6	15-23	9
17.ბორნმუთი	10	2	2	6	12-22	8
18.ნიუკასლი	11	1	4	6	12-22	7
19.სანდერლენდი	10	1	3	6	11-19	6
20.ასტონ ვილა	10	1	1	8	9-17	4

ინგლისი. ჩემპიონშიპი

ბირმინგემი-ვულვზი 0:2
ბრისტოლი-ფულემი 1:4
ბარნლი-ჰადერსფილდი 2:1
დერბი-როტერჰემი 3:0
იფსვიჩი-კარდიფი 0:0
მიდლსბრო-ჩრლტონი 3:0
მილტონი-ჰალი 0:2
რედინგი-ბრაიტონი 1:1
უენსდი-ნოტინგემი 1:0
პრესტონი-ბოლტონი 0:0

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

რეალი-ლას პალმასი 3:1
ვილიარეალი-სევილია 2:1
ვალენსია-ლევანტე 3:0
ხეტაფე-ბარსელონა 0:2
სოსიედადი-სელტა 2:3

სატურნირო ცხრილი:

1.რეალი	10	7	3	0	24-4	24
2.ბარსელონა	10	8	0	2	22-12	24
3.სელტა	10	6	3	1	21-13	21
4.ატლეტიკო	10	6	2	2	15-6	20
5.ვილიარეალი	10	6	2	2	15-8	20
6.ვალენსია	10	4	3	3	11-7	15
7.დეპორტივო	10	3	5	2	15-12	14
8.ეიბარი	9	3	4	2	12-10	13
9.სევილია	10	3	3	4	14-14	12
10.ბეტისი	9	3	3	3	9-13	12
11.ესპანიოლი	9	4	0	5	10-20	12
12.ბილბაო	9	3	2	4	13-12	11
13.ხეტაფე	10	3	1	6	10-15	10
14.რაიო	9	3	1	5	11-17	10
15.სოსიედადი	10	2	3	5	12-12	9
16.მალაგა	9	2	3	4	5-7	9
17.ხიხონი	9	2	3	4	10-14	9
18.გრანადა	9	1	3	5	9-17	6
19.ლას პალმასი	10	1	3	6	7-16	6
20.ლევანტე	10	1	3	6	6-22	6

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

კორდობა-ხიმნასტიკი 2:0
უესკა-ნუმანსია 2:0
ლიაგოსტერა-პონფერადინა 0:1
ლუგო-ტენერიფე 2:0
მირანდესი-ალკორკონი 3:0

გერმანია. ბუნდესლიგა

აუგსბურგი-მაინცი 3:3
ჰერტა-გლადბახი 1:4
კიოლნი-ჰოფენჰაიმი 0:0
შალკე-ინგოლშტადტი 1:1
ვერდერი-დორტმუნდი 1:3
ვოლფსბურგი-ლევერკუზენი 2:1

სატურნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	11	10	1	0	33-4	31
2.დორტმუნდი	11	8	2	1	32-13	26
3.ვოლფსბურგი	11	6	3	2	17-13	21
4.შალკე	11	6	2	3	14-13	20
5.გლადბახი	11	6	0	5	23-18	18
6.ჰერტა	11	5	2	4	14-14	17
7.ლევერკუზენი	11	5	2	4	13-14	17
8.ინგოლშტადტი	11	4	3	4	7-9	15
9.კიოლნი	11	4	3	4	13-17	15
10.ჰამბურგი	10	4	2	4	9-13	14
11.აინტრახტი	11	3	4	4	16-17	13
12.დარმშტადტი	10	3	4	3	12-13	13
13.მაინცი	11	4	1	6	16-19	13
14.ვერდერი	11	3	1	7	11-18	10
15.ჰანოვერი	10	2	2	6	9-18	8
16.ჰოფენჰაიმი	11	1	4	6	12-19	7
17.შტუტგარტი	10	2	1	7	15-23	7
18.აუგსბურგი	11	1	3	7	12-23	6

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ჰაიდენჰაიმი-უნიონი 0:2
პადერბორნი-ფრანკფურტი 1:1

იტალია. სერია ა

იუვენტუსი-ტორინო 2:1
ინტერი-რომა 1:0

სატურნირო ცხრილი:

1.ინტერი	11	7	3	1	11-7	24
2.რომა	11	7	2	2	25-13	23
3.ნაპოლი	10	6	3	1	21-8	21
4.ფიორენტინა	10	7	0	3	18-8	21
5.სასუოლო	10	5	3	2	13-10	18
6.ლაციო	10	6	0	4	15-15	18
7.ატალანტა	10	5	2	3	13-11	17
8.მილანი	10	5	1	4	12-15	16
9.სამპდორია	10	4	3	3	18-14	15
10.იუვენტუსი	11	4	3	4	13-10	15
11.ტორინო	11	4	3	4	17-17	15
12.კიევო	10	3	3	4	13-10	12
13.ემპოლი	10	3	2	5	11-15	11
14.პალერმო	10	3	2	5	11-15	11
15.ჯენოა	10	3	2	5	10-14	11
16.უდინეზე	10	3	2	5	10-14	11
17.ფროზინონე	10	3	1	6	8-12	10
18.ბოლონია	10	2	0	8	6-15	6
19.ვერონა	10	0	5	5	8-17	5
20.კარპი	10	1	2	7	10-23	5

იტალია. სერია ბ

ასკოლი-პრო ვერჩელი 0:1
ბარი-ნოვარა 1:1
ბრეშა-ლატინა 1:0
ჩეზენა-ლანჩანო 2:0
კომო-მოდენა 1:1
ლივორნო-ტრაპანი 2:0
პესკარა-კროტონე 4:1
სალერნიტანა-პერუჯა 1:1
ტერნანა-აველინო 0:3

საფრანგეთი. 1 ლიგა

სტ.ეტიენი-რეიმსი 3:0
ბასტია-კაენი 1:0
გაზელეკი-ბორდო 2:0
გენგამი-ლორიანი 2:2
ტულუზა-მონპელიე 1:1
ტრუა-ლიონი 0:1

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	12	10	2	0	26-6	32
2.ლიონი	12	6	4	2	16-7	22
3.ანჟერი	11	6	4	1	12-6	22
4.სტ.ეტიენი	12	7	1	4	17-14	22
5.კაენი	12	7	0	5	12-13	21
6.ნიცა	10	5	2	3	25-15	17
7.ლორიანი	12	4	5	3	18-17	17
8.რენი	12	4	5	3	15-14	17
9.მონაკო	11	4	5	2	15-15	17
10.ნანტი	10	5	1	4	9-10	16
11.გენგამი	12	4	4	4	12-15	16
12.რეიმსი	12	4	3	5	11-12	15
13.ბორდო	12	3	5	4	14-18	14
14.ბასტია	12	4	1	7	13-18	13
15.მარსელი	11	3	3	5	17-13	12
16.ლილი	11	2	5	4	6-7	11
17.მონპელიე	12	2	3	7	9-15	9
18.გაზელეკი	12	2	3	7	9-16	9
19.ტულუზა	12	1	6	5	12-21	9
20.ტრუა	12	0	4	8	5-21	4

ჰოლანდია. ეროვნული დივიზიონი

გრონინგენი-ზვოლე 2:0
აიაქსი-როდა 6:0
ექსელსიორი-ვიტესი 0:3
გრაადფსხაპი-ფსვ 3:6

პორტუგალია. პრიმეირა დივიზიონი

ტონდელა-ბენფიკა 0:4
ბრაგა-ბელენენსესი 4:0

ჩესეთი. პრემიერლიგა

ცსკა-უფა 2:0
ზენიტი-მორდოვია 0:0

შოტლანდია. პრემიერშიპი

სელტიკი-აბერდინი 3:1
დ.იუნაიტედი-როსი 1:0
ჰამილტონი-სტ.ჯონსონი 2:4
ინვერნესი-დანდი 1:1
კილმანროკი-მოზერველი 0:1
პარტიკი-ჰარტსი 0:4

შვეიცარია. სუპერლიგა

გრასჰოპერსი-თუნი 1:2
ვადუცი-ბაზელი 1:2

ავსტრია. ბუნდესლიგა

რაპიდი-შტურმი 2:1
ალტახი-ზალცბურგი 1:0
გროდიგი-ვოლფსბერგერი 1:0
რიდი-ადმირა 1:1

ბელგია. პრო ლიგა

ლეუვენი-გენტი 0:2
შარლერუა-ოსტენდე 1:1
მეხელენი-ბევერენი 2:0
ვესტერლო-ბრიუგე 0:2

საბერძნეთი. სუპერლიგა

ლევადიაკოსი-პანიონიოსი 0:2
პლატანიასი-კალონი 2:1
ვერია-ოლიმპიაკოსი 0:2

ჩეხეთი. სინოტ ლიგა

ბოჰემიანსი 1905-იიჰლავა 2:1
პრჟირბრჟამი-ბრნო 1:1
სიგმა-ბოლესლავი 1:2
სლოვაცკო-იაბლონეცი 1:1
ლიბერეცი-ბანიკი 2:1

პოლონეთი. ექსტრაკლასა

პიასტი-ზაგლებიე 2:0
ლეხია-ლეგია 1:3
შლეონსკი-ლეხი 1:1

უკრაინა. პრემიერლიგა

ოლიმპიკი-დნიპრო 1:1
დინამო-მეტალისტი 2:0
კარპატი-მეტალურგი(ზ) 1:0

დანია. სუპერლიგა

მიდტიულანდი-ვიბორგი 2:4

შვედეთი. ალსვენსკა

დიურგარდენი-სუნდსვალდი 4:2
ელფსბორგი-ფალკენბერგი 4:2
გეფლე-ატვიდაბერგი 2:1
გოტებორგი-კალმარი 2:2
ჰალმშტადი-ჰამარბი 2:1
ჰელსინბორგი-ჰაკენი 1:2
მალმიო-ნორჩიოპინგი 0:2
იორებრო-აიკი 1:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78. 234-02-38 ქ-ნი მარიამი

ბრიტანელი დეპუტატები ვიქტორია ბექჰემის მოდელებმა აღაშფოთა

ბრიტანელმა კანონმდებლებმა მოდის ჩვენებაში დიზაინერ ვიქტორია ბექჰემის ნულზომიანი მკერდის მქონე მოდელების მონაწილეობა გააპროტესტეს. პარლამენტარებს სურდათ, საკუთარი პრეტენზიები პირადად მისთვის გამოეთქვათ, მაგრამ ვიქტორიამ მათ მიერ ორგანიზებულ მრგვალი მაგიდის შეხვედრაზე მიწვევა არ მიიღო.

მასში მონაწილეობის მისაღებად მსხვილი სააგენტოები და დიზაინერები იყვნენ მიწვეული, მათ შორის ვიქტორია ბექჰემიც. დეპუტატებს სურდათ, მოდის ბიზნესის წარმომადგენლებისთვის ეთქვათ, რომ დეფილეში ასეთი გარეგნობის გოგონების მონაწილეობა ნეგატიურ, „არაქალურ“ შეხედულებებს აყალიბებს.

შეხვედრის ორგანიზატორმა, დეპუტატმა ქეროლაინ ნოუკსმა სიტუაციას სამარცხვინო უწოდა.

მოდის ჩვენება, რომელმაც ბრიტანელი პარლამენტარების, ასევე ჟურნალისტებისა და ინტერნეტ-მომხმარებლების უკმაყოფილება გამოიწვია, სექტემბერში ნიუ იორკში მოდის კვირეულის ფარგლებში გაიმართა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

დაუნი-უმცროსი ვეფხვის ფორმაში გამოეწყო

ამერიკელი მსახიობი რობერტ დაუნი-უმცროსი მულტფილმ ვინი პუხის პერსონაჟის ვეფხვის კოსტიუმში გამოეწყო და ამის ამსახველი ფოტოსურათი ინსტაგრამში საკუთარ აკაუნტში მას შემდეგ განათავსა, რაც მისმა თაყვანისმცემელმა ვიკი კეიტმა სთხოვა, მისი ავადმყოფი, მუკოვისციდოზით დაავადებული შვილი რაიმე საშუალებით გაემხნევებინა.

50 წლის მსახიობმა კეიტის შეტყობინება, რომელიც მან თავისი შვიდი წლის დანიელის ფოტოსურათს დაურთო, წაიკითხა. ქალმა დაწერა, რომ მის ბიჭუნას მკერდში ჩადგმული აქვს სპეციალური მილი, რომლის ტარება მას ავადმყოფობის გამო უწევს. ქალის თქმით, ბავშვი საკუთარ თავს რკინის ადამიანზე გადაღებული ფილმების გმირს ადარებს, რომლის როლსაც დაუნი-უმცროსი ასრულებს. შეგახსენებთ, რომ ფილმში რობერტ დაუნის პერსონაჟს მკერდში ენერგორეაქტორი აქვს ჩადგმული, რომელიც მის სიცოცხლისუნარიანობას უზრუნველყოფს.

ჰოლივუდის მსახიობმა ვეფხვის კოსტიუმში გამოწყობილმა გადაიღო სურათი, ინსტაგრამში განათავსა და გაუკეთა წარწერა, რომელშიც იმედი გამოთქვა, რომ ეს ფოტო ბავშვს გაამხნევებს. გარდა ამისა, მან ბავშვი და დედამისი ლოს ანჯელესში ახალი ფილმის „კაპიტანი ამერიკა: სამოქალაქო ომი“ პრემიერაზე მიიწვია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

2015 წლის ქალი კიმ კარდაშიანის მამინაცვალი გახდა

ამერიკელი ტელევარსკვლავის კიმ კარდაშიანის სქესშეცვლილი მამინაცვალი, ჟურნალ გლამურის ვერსიით, წლის ერთ-ერთ ქალად გამოცხადდა. ამ ინფორმაციას გამოცემის ონლაინვერსია ავრცელებს. კეიტლინ ჯენერმა, ადრე ბრიუს ჯენერმა, გაიმარჯვა ნომინაციაში „ტრანსგენდერების ჩემპიონი“.

– ჩემთვის მართლაც დიდი პატივია გლამურის წლის ერთ-ერთ ქალად დასახელება, – დაწერა კეიტლინმა საკუთარ ტვიტერ-აკაუნტში, რომლის ყოველ განახლებას 3,2 მილიონი ადამიანი ადევნებს თვალს.

დიზაინერმა ვიქტორია ბექჰემმა გაიმარჯვა ნომინაციაში „ფეშენ-ძალა“, მსახიობმა რიზ უიზერსპუნმა კატეგორიაში – „ჰოლივუდის გმირი ქალი“, ამერიკული ფეხბურთის ქალთა ნაკრები „თამაშის წესების შემცვლელის“ ნომინაციის გამარჯვებული გახდა, ხოლო ბალერინა მისი კოუპლენდი ნომინაციისა – „დამსახურებული აპლოდისმენტები“.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

17 წლამდე ნაკრების ბოლო წამის იღბალი

საქართველოს 17-წლამდე ეროვნულმა ნაკრებმა უნგრეთში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი წარმატებით დაძლია და ელიტ რაუნდის საგზური მოიპოვა.

ბოლო ტურში ჩვენი ბიჭები მასპინძელ უნგრეთს დაუპირისპირდნენ. იმ შემთხვევაში, თუ სლოვაკეთი რუმინეთთან არ დამარცხდებოდა, ჩვენ ფრის შემთხვევაშიც გავდიოდით შემდეგ ეტაპზე.

ყველაფერი სწორედ ასე მოხდა, ჯგუფის მეორე შეხვედრაში სლოვაკებმა ფრედ (1:1) ითამაშეს, გოჩა ავსაჯანიშვილის შეგირდებმა კი ბოლო წამზე გატანილი გოლის წყალობით სასურველ ფრეს მიაღწიეს.

ქართველთა მხრიდან თავი ქავთარაძემ და ოზბეთელაშვილმა გამოიჩინეს, ამ უკანასკნელმა კი, როგორც უკვე მოგახსენეთ, უმნიშვნელოვანესი გოლის გატანა 82-ე წუთზე მოახერხა. აღსანიშნავია, რომ სლოვაკებმაც ბოლო წამებზე გაათანაბრეს.

შესაბამისად, საქართველოს ნაკრებმა რუმინეთის მსგავსად 4 ქულა დააგროვა და ელიტ რაუნდში თამაშის უფლება ურთიერთშეხვედრებში უპირატესობის გამო მოიპოვა.

მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

ვინ მიიღებს სოფიკო ჭიაურელის პრიზს?

კინოხელოვნებაში შეტანილი წვლილისთვის სოფიკო ჭიაურელის სახელობის პრიზით კიდევ ერთი ღვაწლმოსილი პიროვნება დაჯილდოვდება. პირველად ეს პრიზი რეჟისორ გიორგი დანელიას გადაეცა, რომელიც სოფიკო ჭიაურელის დეიდაშვილია. მოგვიანებით ეს ჯილდო მიიღეს ფილმ „მონანიების“ შემქმნელებმა, მსახიობმა ავთანდილ მახარაძემ და ოპერატორმა მიხაილ აგრანოვიჩმა, სცენარისტმა და რეჟისორმა ირაკლი კვირიკაძემ, მსახიობმა და რეჟისორმა ანდრეი სმირნოვმა.

წელს ამ პრიზის მფლობელი მომავალ კვირას გახდება ცნობილი. 4-8 ნოემბერს კინოთეატრ „ამირანში“ თბილისის ღია კინოფორუმი რეჟისორ ალექსანდრ სოკუროვის ბოლო ფილმ „ფრანკოფონიით“ გაიხსნება. გახსნის ცერემონიალზე გია ყანჩელის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით განსაკუთრებულად აღინიშნება მისი დამსახურება უნიკალური კინომუსიკის შექმნაში.

ფესტივალს დაესწრება მონაწილე ქვეყნების 50-მდე წარმომადგენელი. წლევანდელ პროგრამაშია 30-ზე მეტი ფილმი უკრაინიდან, უზბეკეთიდან, სომხეთიდან, რუსეთიდან, ყირგიზეთიდან, ყაზახეთიდან, აზერბაიჯანიდან, თურქეთიდან და ირანიდან, მათ შორის, რუბრიკა „ნაციონალური რეტროსპექტივა“ ფილმებით „ფოკუსში: უკრაინა“, რომლის შესახებაც უკრაინის ნაციონალური კინოკავშირის პრეზიდენტი სერგეი ტრიმბახი ისაუბრებს.

რეჟისორი ირაკლი კვირიკაძე და მსახიობი მერაბ ნინიძე წარადგენენ ბახტიერ ხუდონაზაროვის ხსოვნისადმი მიძღვნილ ფილმს „ლუნა პაპა“. მაყურებლის ინტერესს გამოიწვევს თურქეთ-გერმანიის ერთობლივი ფილმი „შრამი“, პიტერ გრინუეის უახლესი ნამუშევარი „ეიზენშტეინი გუანახუატოში“.

საფესტივალო პროგრამაშია ქართული კინოპანორამაც.

წლევანდელი ფესტივალი რეჟისორ ანდრეი პროშკინის ფილმ „ორლეანით“ დაიხურება.

ეკა ირემაშვილი

საუკეთესო პიესების ავტორებს „თუმანიშვილის ვაშლი“ გადაეცათ

მიხეილ თუმანიშვილის ფონდის მიერ დაფუძნებული პრემიის „ახალი ქართული პიესა 2015“-ის გამარჯვებულები საზეიმოდ დააჯილდოეს. მათ ფულად პრემიასთან ერთად ფონდის მთავარი პრიზი „თუმანიშვილის ვაშლი“ გადაეცათ.

წელს კონკურსში სულ 12-მა პიესამ მიიღო მონაწილეობა. მათგან საუკეთესოდ ჟიურიმ დავით ფირცხალავას, ალექს ჩიღვინაძის, თამარ ბართაიასა და ირაკლი ცხადაიას პიესები მიიჩნია.

გასულ წელს ჩატარებული კონკურსის გამარჯვებულ პიესებს საზღვარგარეთ დიდი წარმატება ხვდათ წილად. სამი გამარჯვებული პიესიდან ორი უკვე დაიდგა გერმანიაში: დათა თავაძის „დედამი“ ციტაუს სახელმწიფო თეატრში განხორციელდა, ბასა ჯანიკაშვილის „გაბრაზებული ჩიტი“ კი ნიურნბერგის სახელმწიფო თეატრში იქნა წარმოდგენილი.

2006 წლიდან დღემდე თუმანიშვილის ფონდი დრამატურგიაში ორ კონკურსს ატარებს: „ახალი ქართული პიესა“ და „ახალი თარგმანი“. წლების განმავლობაში კონკურსების ფარგლებში 140-მა ავტორმა 223 პიესა, ხოლო 67-მა მთარგმნელმა 123 პიესის თარგმანი წარმოადგინა.

თუმანიშვილის ფონდი 1998 წლის 27 მარტს მთარგმნელის, მწერლისა და თეატრალური მოღვაწის მანანა ანთაძის ინიციატივით დაარსდა, რომელსაც წელს ივანე მაჩაბლის სახელობის პრემია უილიამ შექსპირის პიესების მრავალწლიანი ნაყოფიერი მთარგმნელობითი საქმიანობის გამო გადაეცა.

თუმანიშვილის ფონდის დამაარსებელ მანანა ანთაძეს თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ქეთი დოლიძემ სიურპრიზი მოუწყო და გამარჯვებული პიესების დაჯილდოების დასრულების შემდეგ გადასცა მიხეილ თუმანიშვილის პრიზი „ხელოვნებაში სრულყოფილებისათვის“.

ეკა ირემაშვილი

ასტროპროგნოზი

2 ნოემბრისათვის

ვერძი – დღეს საუკეთესო პერიოდია სამოგზაუროდ წასასვლელად. ყველაფერს ერთად ნუ გააკეთებთ. ენერგია დაზოგეთ. შორეული ნაცნობი საკმაოდ სასარგებლო რჩევას მოგცემთ. **კურო** – მომავალი მშვენიერია. მზად იყავით პირად ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებისათვის. შესანიშნავი დღეა ახალი საქმის დასაწყებად. **ტყუპები** – საოჯახო საქმეებს თუ მოაგვარებთ, კარგი იქნება. წინააღმდეგობრივი, რთული დღეა, შესაძლოა, გარკვეულ კომპრომისზე წასვლა მოგიხდეთ. ფულს იოლად ნუ დახარჯავთ. **კირჩხიბი** – დასვენება გჭირდებათ. კარგი დღეა სამოგზაუროდ წასასვლელად, ფიზიკური დატვირთვისათვის. ერიდეთ კამათს მეგობრებთან. საღამო ბუნების წიაღში გაატარეთ. **ლომი** – თქვენი სულიერი და შემოქმედებითი პოტენციალი იზრდება. საზრიანობა და მოვლენების საღად აღქმის უნარი ნებისმიერი რთული სიტუაციიდან თავის დაღწევაში გეხმარებათ. **ქალწული** – დღის დევიზია დიდსულოვნება, სულიერი წონასწორობა, ურთიერთობა მეგობრებთან და ახლობლებთან. კომერსანტებს პრობლემები შეექმნებათ. გამორიცხული არ არის ფინანსური დანაკარგები. **სასწორი** – თქვენი კომუნიკაბელურობა დღეს ძალიან გამოგადგებათ. მძიმე დღეა. წარუმატებლობებს დილიდანვე ელოდეთ. **ღრიანკალი** – გელით საქმიანობა, რომელიც, საერთო ჯამში, სასარგებლო იქნება. წვრილმან უსიამოვნებებს ყურადღებას ნუ მიაქცევთ. **მშვილდოსანი** – კარგი პერიოდია საყიდლებზე წასასვლელად. ენერგიულობა და მიზანდასახულობა თქვენს საქმიანობაზე დადებითად აისახება. **თხის რქა** – ფულს იოლად ნუ დახარჯავთ. კეთილისმყოფელი დღეა. იაქტიურეთ და შედეგს სულ მალე მიიღებთ. რისკი გაამართლებს. ** მერწყული** – საყიდლებზე წასასვლელად დილიდანვე მოემზადეთ.. ნავაჭრი იღბლიანი იქნება. სიტუაციის მიხედვით იძულებული ხართ, სიმამაცე და სიმტკიცე გამოიჩინოთ. **თევზები** – დასვენება და გართობა დღეს თქვენი ხსნაა. ახალი ნაცნობობა სასარგებლო იქნება. თავს ზედმეტად ნუ გადაიტვირთავთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
კონსულტაცია უფასოა!
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

სჯანგოხიდი



1. დაბალი ტროპიკული პალმა გიგანტური ფოთლებით; 2. ჰო, დიახ; 3. პარაბოლის მოძრაობით მიღებული ზედაპირი (მათემატ.); 4. ძველებური სიუიტა; 5. ჩეხური ავტომარკა; 6. მათემატიკის ნაწილი; 7. მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში; 8. კრინოლინი; 9. არკადი ... (პაროდისტი); 10. მდინარე რუსეთში; 11. ქალაქი უზბეკეთში; 12. პასიური, უნებისყოფო ადამიანზე იტყვიან; 13. ზმნის წარსული დრო; 14. ერთ-ერთი შეგრძნება; 15. სახოტბო ლექსი; 16. სამაგიდო თამაში; 17. ნუშის ლიქიორი; 18. ფუჭი, უნაყოფო; 19. ... –მუსიკა; 20. ანუკ ...; 21. ბუნებრივი საღებავი; 22. კავშირი (გრამატ.); 23. გვარიანი და კეთილად წვრთილი ცხენი (საბა); 24. თბილისის კალა-ციხის გვიანდელი სახელწოდება; 25. „...–ჰოლი“ (საკონცერტო დარბაზი ნიუ იორკში); 26. ...მორჩილაძე; 27. მთრიმლავი ნივთიერება; 28. ... ლისაშვილი; 29. ხანა, ეპოქა; 30. ძვირფასბეწვიანი ცხვრის ჯიში; 31. კურორტი ჩრდილო კავკასიაში; 32. ზღვაში მცურავი ყინულის მთა.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხიდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ქორალი; 2. ხიდი; 3. კონსტანტა; 4. ბონზა; 5. ლიპტონი; 8. აქციზი; 9. პერგამონი; 12. ყალამი; 14. არმაზი; 16. არესი.

თარაზულად: 1. ქვათახევი; 6. კოხინორი; 7. რონალდუ; 9. პრუსია; 10. ბაშო; 11. მიუსერა; 13. გუაში; 15. ლაზიკა; 17. ჰარლემი; 18. კალაძე; 19. აიაზმა; 20. სიმინდი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ღვენთი; 2. ბერკლი; 3. ბარტოლდი; 4. ვეზუვი; 6. პარასოლი; 8. აფრიკა; 11. ქარაშოტი; 12. დემეტრე; 16. ვეკუა; 17. დერბი; 18. სპიჩი.

თარაზულად: 1. ღრუბელი; 5. სტეპი; 7. ჰაჯიბეი; 9. ნესკაფე; 10. ბულიმია; 13. კანდელი; 14. შაგალი; 15. ჯემი; 19. გერგეტი; 20. ფელამუში; 21. სამთავისი; 22. დიჟონი.

დეფის მაღაზიაში სცემეს

პოეტსა და რომანისტ დავით დეფის სცემეს. მას გვიან ღამით თბილისში თავს უცნობი პირები დაესხნენ. თავდასხმის დროს მწერალი და მისი მეუღლე მაღაზიაში იმყოფებოდნენ.

როგორც მწერალი ამბობს, დაპირისპირება მისი ერთ-ერთი ნაწარმოების გამო დაიწყო, რასაც სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირება მოჰყვა.

დავით დეფი მომხდარში პრემიერს ადანაშაულებს და აცხადებს, რომ სწორედ პრემიერმა მოუწოდა საზოგადოებას ასეთი ქმედებისკენ.

დეფის მტკიცებით, მის მიმართ ასეთი მოქალაქის აგრესია პოეტის ხედვებმა და ღია განცხადებებმა გამოიწვია. მომხდართან დაკავშირებით მწერალს სამართალდამცავებისთვის არ მიუმართავს, რადგან მიაჩნია, რომ მოწინააღმდეგეს საკადრისი პასუხი თავადაც გასცა.

დავით დეფი:

– მოძალადე ლაჩარს, რომელიც გუშინ ღამით ზურგიდან მე და ჩემს ცოლს თავს დაგვესხა, საკადრისი პასუხი გავეცი. გარწმუნებთ, ის, რაც დავმართე, მას მთელი ცხოვრება ემახსოვრება. ახლა ოდნავ ფეხი მტკივა და ვცდილობ, ჩემი ქეთი დავამშვიდო.

სამარცხვინო კი ის არის, რომ გამვლელები ამას ჩვეულებრივი გულცივობით უყურებდნენ და, როცა ჩემი ატირებული და თითქმის გულწასული ცოლი მათ პატრულის გამოძახებას სთხოვდა, ერთხმად პასუხობდნენ, კაი, ასე ნუ ასერიოზულებო.

მოძალადე, ჩემზე ასე დაგეშილი არაკაცი, გაიქცა, თან მობილურზე რეკავდა.

სახლში ასვლისთანავე თავსა და ცოლს მივხედე. აფექტურ მდგომარეობაში მყოფს, პატრულის გამოძახების არც დრო და არც თავი არ მქონდა.

როცა ზურგიდან ის წიხლებით შემდგა, პატრული მაღაზიაში მომუშავე პერსონალს უნდა გამოეძახა, ასევე – სხვა იქ მყოფ ადამიანებს, გამვლელებს, სეირის გულგრილად მაყურებლებს, ხეებს ამოფარებულ მომცინავებს და ა.შ. მაგრამ მათ ასე არ ქნეს.

მე თავისუფალი ქვეყნის თავისუფალი მოქალაქე მინდა ვიყო და არა უსახო და მხდალი ჯოგის ცოცხალი ლეში. ქვეყანაში შექმნილი შიზოფრენიული ფონის შედეგი სწორედ გუშინდელი ღამეა, რომელიც ჩემთვის სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს და მალე ასე იქნება ყველასთვის.

ანიტა რაჭველიშვილი და დავით ალადაშვილი დაჯილდოეს

უცხოეთში მოღვაწე ქართველი ხელოვანები პარიზში დაჯილდოეს. საოპერო მომღერალი ანიტა რაჭველიშვილი და პიანისტი დავით ალადაშვილი საფრანგეთის დედაქალაქში გამართულ საქველმოქმედო კონცერტში მონაწილეობისთვის დასაჩუქრდნენ.

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა საქართველოს“ თანადგომით პარიზში, პიერ კარდენის საკონცერტო დარბაზში, გაიმართა კიდევ ერთი ღონისძიება „ახალგაზრდები – ახალგაზრდებისთვის“.

კონცერტის დასასრულს ფონდის ხელმძღვანელმა, არქიმანდრიტმა ილია ნასიძემ განაცხადა, რომ კონცერტიდან შემოსული თანხით ხურვალეთში მცხოვრებ განსაცდელში ჩავარდნილ 140 ოჯახს დაეხმარებიან.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ანიტა რაჭველიშვილსა და დავით ალადაშვილს გადაეცათ დავით კაკაბაძისა და ფოკანის ნამუშევარი, სიცოცხლის სიმბოლო „სააღდგომო კვერცხი“.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ლევან ხურცია და მარიამ კუბლაშვილი დაქორწინდნენ

მსახიობი ლევან ხურცია და იურისტი მარიამ კუბლაშვილი დაქორწინდნენ. უქმეებზე წყვილმა ჯვარი სვეტიცხოველში დაიწერა და ქორწილი ვარდების ბაღში გამართა, სადაც ქართული თეატრის, კინოსა და ესტრადის ვარსკვლავებმა მოიყარეს თავი.

ლევანი და მარიამი თავიანთი სიყვარულის ამბავს დიდხანს საგულდაგულოდ მალავდნენ და გავრცელებულ სიახლეებსაც ჭორებს უწოდებდნენ, მაგრამ მათი ამბავი მალე გაცხადდა და წყვილმა უამრავი კეთილი სურვილი მიიღო პასუხად. მათ ერთმანეთი მეგობრის წვეულებაზე გაიცნეს და დამეგობრდნენ. როგორც მოსალოდნელი იყო, მათი მეგობრობა სიყვარულში გადაიზარდა და საბოლოოდ ოჯახის შექმნით დასრულდა.

მარიამი ლევანს საქორწილო კაბას ჯვრისწერისა და ქორწილის დღემდე უმალავდა. ლევანმა ქართული ჩოხა ჩაიცვა და საყვარელ ადამიანს სამუდამოდ შეჰფიცა ერთგულება საქართველოს ერთ-ერთ უძველეს ტაძარში. მარიამისა და ლევანის მეჯვარეები მათი უახლოესი მეგობრები იყვნენ.

ლევან ხურცია მაყურებლისთვის კარგა ხანია, ცნობილია, განსაკუთრებული პოპულარობა მას შემდეგ მოიპოვა, რაც თეატრიდან კინოში გადაინაცვლა და რამდენიმე ქართულ სერიალში მიიღო მონაწილეობა. მის ხმას კი მაყურებელი კარგად ცნობს, რადგან ლევანი წლების განმავლობაში რუსთავი 2-ზე სერიალებს ახმოვანებს.

მარიამ კუბლაშვილი მაყურებელმა „ცეკვავენ ვარსკვლავებიდან“ გაიცნო, სადაც იურისტმა არათუ კარგად აუღო ალღო ცეკვებს, არამედ გამარჯვებაც მოიპოვა და შოუს მთავარი პრიზის მფლობელიც გახდა. მარიამს პირველი ქორწინებიდან ბიჭი ჰყავს, რომელიც დედის გადაწყვეტილებას სიხარულით შეხვდა და ლევანსაც მალევე დაუმეგობრდა. ამჟამად მარიამი თავისი პროფესიით მუშაობს და იურიდიულ მომსახურებას უწევს ადამიანებს, პარალელურად, ტელეკომპანია „იმედზე“ გადაცემა „დღის შოუში“ მაყურებლებს სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით იურიდიულ რჩევებს აძლევს.

5 ქართველი მომღერალი უკრაინულ „იქს ფაქტორშია“

უკრაინულმა „იქს ფაქტორმა“ მეექვსე სეზონისთვის მონაწილეთა შერჩევა საბოლოოდ დაასრულა და დაასახელა ის 12 მომღერალი, რომლებიც ფინალისტობისა და პირველობისთვის გააგრძელებენ ბრძოლას.

სამი სკამის ტურში ქართველ მომღერლებთან ერთად უკრაინელი კონკურსანტებიც წარდგნენ ჟიურის წინაშე. წელს პროექტში განსაკუთრებით ბევრი ქართველი მომღერალი მონაწილეობდა. ზოგიერთი მათგანი ქართველი მსმენელისთვის ცნობილია, ზოგი კი ახლა გახდა პოპულარული.

ანდრია გველესიანი, გიორგი ჩიქოვანი, გიგი ადამაშვილი, ბესიკ ნემსაძე, ჯგუფი „სპარკლი“, ქრისტინე მარტიაშვილი, ნინი ნუცუბიძე, ნათია თოდუა, თათია კობალაძე – ესენი ის ქართველი მომღერლები არიან, რომლებმაც უკრაინულ პროექტში ნამდვილი ფურორი მოახდინეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველამ ვერ შეძლო სამი სკამის ტურში რჩეულ 12 კონკურსანტს შორის მოხვედრა. უკვე მეორე სეზონია, პროექტის ჟიურიში ქართველი მომღერალი ნინო ქათამაძეა მიწვეული, რომელიც უკრაინელ კოლეგებთან ერთად განსაკუთრებული სიფრთხილით არჩევს საუკეთესო მომღერლებს.

12 საუკეთესოს შორის მოხვდნენ ოთო ნემსაძის ძმა ბესიკ ნემსაძე, თათია კობალაძე, ქრისტინე მარტიაშვილი, ნინი ნუცუბიძე და ჯგუფი „სპარკლი“. მომავალი კვირიდან უკრაინულ „იქს ფაქტორში“ ლაივკონცერტები იწყება და გამარჯვებისთვის ბრძოლაც გადამწყვეტ ფაზაში შევა.

ლატავრა ფოჩიანს მემორიალური დაფა გაუხსნეს

ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის მიერ დაარსებული ანსამბლის ერთ-ერთ გამორჩეულ მოცეკვავეს ლატავრა ფოჩიანს საცხოვრებელი სახლის კედელზე მემორიალური დაფა გაუხსნეს. ვაკეში, მუხაძის ქუჩაზე, სახელოვანი ქართველი მოცეკვავის, საქართველოს სახალხო არტისტის, მედიცინის დოქტორ ლატავრა ფოჩიანისა და მისი მეუღლის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს კიაზო ნადარეიშვილის მემორიალური დაფები გაიხსნა.

4 წლის წინ 72 წლის ასაკში გარდაცვლილი მოცეკვავე ქართული ცეკვის დედოფლად იყო აღიარებული და ის წლების განმავლობაში შეუცვლელი მოცეკვავე იყო ანსამბლში. ლატავრა ფოჩიანი სწორედ იმ დროს ცეკვავდა ანსამბლში, როცა მისი წევრები იყვნენ ფრიდონ სულაბერიძე, ომარ მხეიძე, თენგიზ უთმელიძე, მანანა აბაზაძე, იამზე დოლაბერიძე, თენგიზ სუხიშვილი.

მემორიალური დაფის გახსნაზე მოცეკვავის სახლთან შეკრებილმა მეგობრებმა და კოლეგებმა კიდევ ერთხელ გაიხსენეს ეს შესანიშნავი ადამიანი და ლატავრა ფოჩიანის გამორჩეულ ნიჭზე ისაუბრეს. მემორიალური დაფის გახსნის ღონისძიებას ესწრებოდა ევროპული ფოლკლორული ფესტივალების ასოციაციის პრეზიდენტი ნიკოლოვ კალოიანი.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ქალეიდოსკოპი

სიდნეიში საუკეთესო რესტორნის ადგილები დაიტაცეს

სიდნეიში გახსნილი რესტორნის ადგილები, რომლებიც რესტორნების ქსელ ნომას ეკუთვნის, მოქალაქეებმა ოთხ წუთში შეიძინეს. კოპენჰაგენის დაწესებულების, რომელიც არაერთხელ იქნა აღიარებული მსოფლიოში საუკეთესოდ, ავსტრალიის ფილიალში მაგიდის დაჯავშნა 30 ოქტომბერს, ადგილობრივი დროით დილის 10 საათზე დაიწყო.

კლიენტებს სთავაზობდნენ, დაეჯავშნათ საუზმე ან ვახშამი ორ, ოთხ, ექვს ან რვა პერსონაზე, ამასთან, შეკვეთის ღირებულება 485 დოლარს შეადგენდა (ღვინის გაუთვალისწინებლად). რომელი კერძები შევიდა შეფმზარეულ რენე რედზეპის მიერ შეთავაზებულ გასტრონომიულ სიაში, გაურკვეველია, თუმცა, ის კი ცნობილია, რომ დეგუსტაციაზე მისვლა 2016 წლის 26 იანვრიდან 2 აპრილის ჩათვლით იქნება შესაძლებელი.

დანიური რესტორანი ნომა 2004 წელს გაიხსნა. ის მსოფლიოში საუკეთესოდ 2010, 2011, 2012 და 2014 წლებში იქნა აღიარებული.

2015 წელს რედზელიმ, რომელსაც ხშირად მსოფლიოში ყველაზე გავლენიან შეფმზარეულს უწოდებენ, ნომას ფილიალი ტოკიოში გახსნა, სადაც მომხმარებლებს შესთავაზა, დაეგემოვნებინათ ცოცხალი მოლუსკები მკვდარი ჭიანჭველების „გარნირით“.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

სამშობიარო „იმედის კლინიკა“ თანაგრძნობას უცხადებს ექიმ იზა ბაჯელიძეს მამის

გური ბაჯელიძის

გარდაცვალების გამო.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ყველაზე ცნობილი სკეიტბორდისტი ძაღლი მოკვდა

კალიფორნიაში ინგლისური ბულდოგი ტილმანი მოკვდა, რომელიც მსოფლიოში ყველაზე ცნობილი სკეიტბორდისტი ძაღლი იყო და რომელიც გინესის რეკორდების წიგნში შეიყვანეს.

ძაღლი საღამოს გულთან დაკავშირებული პრობლემების გამო დაიღუპა. მისი პატრონის რონ დევისის თქმით, ავადმყოფობა ტილმანს ზაფხულში განუვითარდა. მას არითმია დაუდგინეს. მას შემდეგ, რაც ძაღლის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა, ის ვეტერინარულ საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ ძაღლი გზაში დაიღუპა.

ტილმანი 2005 წელს დაიბადა და მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც 2007 წელს მისმა პატრონმა იუთუბიზე განათავსა ვიდეო, რომელზეც ასახულია, თუ როგორ სეირნობს მისი ძაღლი სკეიტბორდით. 2009 წელს ტილმანმა მოხსნა მსოფლიო რეკორდი „ძაღლებისთვის „სკეიტბორდით ასი მეტრის ყველაზე სწრაფად გავლა“. პატრონმა ტილმანს ასწავლა არა მარტო სკეიტბორდზე, არამედ სნოუბორდსა და სკიმბორდზეც სეირნობაც. ამ ყოველივემ კი ძაღლი ინტერნეტვარსკვლავი გახადა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

TV პროგრამა

ოთხშაბათი 2 ნოემბერი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 00.00"მოამბე" **07.05, 09.10** "დილა" **10.10** ტ/სერ. "**ანგელოზის სახე**" **11.00** ტ/სერ. "**ჩენტრ ვეტრინე**" **12.30** "კომუნიკატორი" **13.30** დ/ფ "დიდებული სასახლეები" **14.05** მხ/ფ "**ბინი**" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**ნიკიტა**" **18.05** "სიტყვების თამაში" **18.30, 19.01** თოქ – შოუ "რეალური სივრცე" **19.30** "ტელებლოგი" **21.00** ტ/სერ. "**ბანქოს სახლი**" **22.00** "სპორტი გიორგი ზურაბიშვილთან ერთად" **23.00** "კომუნიკატორი" **00.10** მხ/ფ "**იძულება**" (მ.ფრიმანი) **02.00** თოქ – შოუ "რეალური სივრცე" **03.00** "კომუნიკატორი"

08.00 დ/ფ "კრისტიან ბოლტანსკის შესაძლო ცხოვრებები" **09.00** დ/ფ "ალის პირისპირ" **10.35** დ/ფ "შოტლანდია" **11.00** ქართ. მხ/ფ "**სამანიშვილის დედინაცვალი**" **12.35** დ/ფ "ინდოეთი" **13.00** დ/ფ "ალენ ბაშუნგი" **14.00, 22.00** ტ/სერ. "**ლოს ანჯელესის პოლიცია**" **15.00, 17.00, 21.00** "ბრიფინგის დრო" **16.00** დ/ფ "ბერები ლაბორატორიაში" **18.00** დ/ფ "იმპრესიონისტული სკანდალი" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა". **20.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **21.30** "გამომძიებელი რეპორტიორი" **23.00** "ნამდვილი დრო" **23.30** ქართ. მხ/ფ "**ორომბრილი**"

06.00 სერ. "**რობინ ჰუდის თავგადასავალი**" **1** სერ. **07.00** სერ. "**კარმა**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.35** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**გზაჯვარედინი**" **11.20** სერ. "**დიდი სახლის პატარა დიასახლისი**" **12.30** დღის შოუ **14.40, 15.55** სერ. "**ორი ბედი**" **17.35** სერ. "**დაკარგული წლები**" **1** სერ. **18.45, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00, 23.00** სერ. "**შუა ქალაქში – 10**" **10-11** სერ. **00.00** მხ/ფ "**ქორწილის ორგანიზატორი**" (მ.მაკენეჰი) **01.45** მხ/ფ "**შავი წვიმა**" (ე.გარსია)

07.00, 15.40 სერ. "**ლამაზი სიზმარი**" **07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.55** სერ. "**მოჯადოებულები**" **18.55** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.55** სერ. "**ქარადაი**" **22.00** ნიჭიერი **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი

06.10 მუს.პაუზა **06.15** ივერიის ეკლესია "ავტოკეფალიის აღდგენა" II ნაწ. **06.35** პატერიკი-ტყუილზე დაფიცების შესახებ **06.45** ქართული ალბომი "გუბაზ მეგრელიძე წინაპრებზე" **07.10** დ/ფ "შურიმშინე" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.05** მხ/ფ "**არაჩვეულებრივი ბამოფენა**" **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.30** დეკორატიული ფლორა "ასპარაგუს" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.20** ქართული ანიმაციური ფილმი **15.35** ბავშვები მუზეუმში **15.50** სპექტაკლი "**სამანიშვილის დედინაცვალი**" **16.40** დ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **17.10** ნარკომანიაზღვარზე "როცა აყვავდა ნუში" **18.05** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.50** ისტორიის დღიური **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** დ/ფ წმ. გაბრიელი-"აღდგომა თებერვალი" **20.40** ძილი ნებისა "იესო იძლევა ნიშანს" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** პატერიკი "ცხოვრების ძიებისა და სიკეთის შესახებ" **21.35** საეკლესიო აღმშენებლობა **22.25** საქართველოს ქალაქები-ბათუმი **22.45** საქართველოს სამართლის ისტორია **22.50** მუს. პაუზა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.30** დ/ფ **00.25** საუკუნის პორტრეტები-"შალვა მაღლაკელიძე" **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "დრაკონებზე მონადირენი" (ჟესტიკულაციით) **7.55** გადაცემა "საქმიანი დილა" **10.05 სერიალი "სხვისი სხეული" 11.05 სერიალი "ჟუზეი და გუნეი"** 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.30** გადაცემა "ბიზნეს კონტაქტი" **13.30, 14.05 სერიალი "დაკარგული დრო"** 15.00 "კონტაქტი სამზე" **15.30** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **16.05 სერიალი "ტატიანა" 17.05 სერიალი "სიყვარულის იმპერია" 18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05 სერიალი "ნადირობა" 20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** ქართული **სერიალი "ჩვენ გვერდით" 21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **23.00 სერიალი "ვანგელია" 1.30 სერიალი "ტატიანა" 2.15 სერიალი "სიყვარულის იმპერია"**

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

2 ნოემბრისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.3980	ევრო — 2.6414
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6838	100 რუსული რუბლი — 3.7468

ამინდის პროგნოზი 2 ნოემბრისთვის

კალეიდოსკოპი

პარაგვაელებმა მდინარეში მკვდარი ჩუპაკაბრა ნახეს

პარაგვაელებმა მდინარე კარმენ-დელ-პარანაში ჩუპაკაბრას გვამი ნახეს. მკვდარი ცხოველი ვიდეო კამერაზე გადაიღეს, შემდეგ კი ვიდეორგოლი და ფოტოსურათები სოციალურ ქსელებში განათავსეს.

შემთხვევის ადგილზე მისულმა მაშველებმა, ვარაუდი გამოთქვეს, რომ სხეული შესაძლოა აქამდე უცნობი სახეობის მაიმუნს ეკუთვნოდეს.

აღსანიშნავია, რომ ჩუპაკაბრა მითიურ მტაცებლადაა მიჩნეული, რომელიც იშვიათი ყავისფერი ბეწვითაა დაფარული, ნადირობს შინაურ ცხოველებზე და მათ სისხლს სწოვს. ზოგჯერ ჩუპაკაბრად მიიჩნევენ ავადმყოფ მელიას, ძაღლს, კოიოტს, ენოტს და სხვა ცხოველებს.

პირველად ჩუპაკაბრაზე 1950 წელს ალაპარაკდნენ, როდესაც პუერტო-რიკოში რამდენიმე მკვდარი თხა აღმოაჩინეს, რომელთაც თითქოსდა სისხლი ჰქონდათ გამოწოვილი. ყველაზე ხშირად ინფორმაცია საიდუმლოებით მოცულ მონსტრზე სწორედ ამ ქვეყნიდან მოდიოდა, თუმცა ის სხვა ადგილებშიც შენიშნეს, მათ შორის, უკრაინასა და რუსეთში.

პენსიონერის სახლს ფორდ მუსტანგი დაეცა

ამერიკელმა პენსიონერმა მიჩიგანის შტატიდან ჯოის კინგსლიმ საკუთარი სახლის სახურავზე წითელი ფერის სპორტული ავტომობილი ფორდ მუსტანგი აღმოაჩინა.

83 წლის პენსიონერმა ქალმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ ტელევიზორს უყურებდა, როდესაც ძლიერი ბრახუნის ხმა მოესმა. თავიდან მან იფიქრა, რომ ეს ჭექა-ქუხილი იყო, მაგრამ ქუჩაში გამოსულმა საკუთარი სახლის სახურავზე მანქანა დაინახა.

ავტომობილის მძღოლი აღმოჩნდა მამაკაცი, რომელიც სისხლში შაქრის დაბალი შემცველობისგან იტანჯება. მან ერთ მომენტში მანქანის მართვას თავი ვერ გაართვა, ნომერი 69 შოსედან გადავიდა და იქვე ახლოს მდებარე სახლის სახურავზე ავარდა, რომლის სახურავის ერთი ნაწილი თითქმის მიწის ზედაპირს უსწორდება. ამ შემთხვევის შედეგად თავად მძღოლი არ დაშავებულა.

შემთხვევის ადგილზე მისულმა პოლიციელებმა განაცხადეს, რომ ფორდმა რამდენიმე ბუჩქი გადათელა, გაანგრია მომცრო ღობე და სახლის სახურავზე ავარდა. სახლის პატრონი მომხდარს ძალიან არ დაუდარდიანებია, მისი თქმით, სანამ სახურავს შეუკეთებენ, სახლს ბრეზენტს გადააფარებს.

ნარკომოვაჭრე ციხიდან გაქცევას მოხუცის ნიღბით ცდილობდა

ბრაზილიელი ანტონიო ფელიპე, რომელიც 36 წლიან პატიმრობის ვადას ნარკოტიკებით ვაჭრობისთვის იხდის, შეეცადა ციხიდან თავი მოხუცი ქალის ნიღაბისა და პარიკის დახმარებით დაეღწია.

პროფესიონალურად გაკეთებული მაკიაჟით დამნაშავე ჩვეულებრივი მოხუცი ქალივით გამოიყურებოდა, მაგრამ ის დაცვის სამსახურის თანამშრომლებმა ციხის გასასვლელში დააკავეს, ვინაიდან მათ შიგნით შესული მოხუცი ქალი არ უნახავთ.

პოლიციელებმა საეჭვო ქალბატონს საბუთების წარდგენა მოსთხოვეს და ჰკითხეს, თუ რა მიზნით იმყოფებოდა კოლონიაში. ასევე მცველებს საეჭვოდ მოეჩვენათ მისი სიმაღლეც. მათ ქალის გაჩხრეკის გადაწყვეტილება მიიღეს და აღმოაჩინეს, რომ ის სინამდვილეში მამაკაცი იყო.

გამოსასწორებელ დაწესებულებაში დაიწყო გამოძიება, თუ როგორ აღმოჩნდა დამნაშავის ხელში ქალის ტანსაცმელი და პროფესიონალური სამსახიობო ნიღაბი, რომლის ფასი 1285 დოლარია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

რაგბიში ახალი ზელანდია მეფობს

ახალი ზელანდია – ავსტრალია 34:17

ახალი ზელანდიის ნაკრები გახდა პირველი გუნდი, რომელმაც მესამედ მოიპოვა მსოფლიო თასი და ზედიზედ მეორედ მოიგო ყველაზე პრესტიჟული ტურნირი.

ზელანდიელები მთელი თამაშის განმავლობაში აკონტროლებდნენ მატჩის მსვლელობას. მხოლოდ ერთი მონაკვეთი ჩაუვარდათ, როდესაც ავსტრალიამ თამაში დაძაბა.

ანგარიში კარტერმა ჯარიმით გახსნა, რასაც ბერნარდ ფოლის პასუხი მოყვა და ავსტრალიამ ანგარიში გაათანაბრა.

კარტერმა 26-ე და 36-ე წუთებზე ჯარიმები გაიტანა, ხოლო ტაიმის მიწურულს ზელანდიელებმა კარგი შეტევა წამოიწყო, არონ სმითმა და რიჩი მაკქოუმ შეტევა ფლანგზე გაშალეს და ნეჰე მილნერ-სქადერი ლელოში დაუბრკოლებლად შევიდა. კარტერმა რთული პოზიციიდან გარდასახა და ტაიმი 16:3 დასრულდა.

შესვენების შემდეგ მაა ნონუმ ავსტრალიელთა დაცვაში გაჩენილი სივრცეებით ისარგებლა მეორედ დაალელოვა ვოლაბები. კარტერს ამჯერად გარდასახვა გაუცუდდა – 21:3.

თითქოს ყველაფერი დასრულდა, მაგრამ ბენ სმითი გაასინბინეს, რითიც ისარგებლა ავსტრალიამ და მეტობაში 14 ქულა აიღო.

ბურთი ჯერ დევიდ პოქოქმა დაამიწა, ხოლო შემდეგ ტევიტა კურიდრანი შეიჭრა ლელოში. ფოლიმ ორივე ზუსტად გარდასახა – 21:17.

მატჩს ინტრიგა დაუბრუნდა, მაგრამ კარტერმა მალევე მოკლა. ზელანდიელთა დამრტყმელმა 40 მეტრიდან არეკნი გაიტანა, ხოლო 50 მეტრიდან ჯარიმა და სხვაობა 10 ქულამდე გაზარდა.

ავსტრალიამ გაბრძოლება ცადა, მაგრამ მეტოქის 22-ში ბურთი დაკარგა, კონტრშეტევაზე ბოდენ ბარეტმა სირბილში ყველას აჯობა და ჩათვლის მოედნის წინ მარტოდ დარჩენილმა 2015 წლის მსოფლიო თასის ბოლო ლელო გაიტანა, ხოლო კარტერმა გარდასახვით საბოლოო ანგარიში დასვა – 34:17.

მოამზადა მისეილ ჟორჟოლიანმა

435-კილოგრამიანი მექსიკელის საავადმყოფოში გადაყვანას შვიდი კაცი დასჭირდა

შვიდმა მამაკაცმა სპეციალური მოწყობილობის დახმარებით, რომლითაც ჩვეულებრივ გაუვალ ადგილას ჩავარდნილი მანქანები ამოჰყავთ, 435-კილოგრამიანი მექსიკელი, ქალაქ ობრეგონის მკვიდრი, ანდრე მორენო საწოლიდან სპეციალურ საკაცეზე გადააწვინა, რათა ის საავადმყოფოში გადაეყვანათ.

37 წლის მამაკაცმა თანხმობა განაცხადა, გაიკეთოს ოპერაცია, რომლის დროსაც მას მისი კუჭის 70 პროცენტს ამოკვეთენ. ამგვარ პროცედურას იყენებენ იმ პაციენტების სამკურნალოდ, რომლებიც სიმსუქნისგან იტანჯებიან, რათა ამით ორგანიზმს საკვების მიღება შეუმცირდეს.

ექიმების განცხადებით, ადრე მათ ასეთი დიდი ზომის პაციენტისთვის ქირურგიული ოპერაცია არ გაუკეთებიათ და მორენოს სიცოცხლე საფრთხის ქვეშაა. ასევე მათ აღნიშნეს, რომ არ გააჩნიათ ისეთი საოპერაციო მაგიდა, რომელიც ასეთ წონას გაუძლებდა..

მორენო ბოლო რამდენიმე წელია ცხოვრებას საწოლში ატარებს თავისი უზარმაზარი წონის გამო. მას იმედი აქვს, რომ ყველაფერი კარგად ჩაივლის და ოპერაციის შემდეგ მის ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მსუქანი ძაღლი ინტერნეტის ვარსკვლავად იქცა



სიმსუქნით დაავადებული ძაღლი, სახელად მეფე ჰენრი VIII, რომელიც თავის პატრონთან ერთად თვითმფრინავის პირველი კლასით მგზავრობდა, ინტერნეტის ვარსკვლავად იქცა. თვითმფრინავში ჩაჯდომის წინ რბილი საფენებით გაწყობილ დიდ ურიკაში მჯდომი ძაღლის ფოტოსურათი ტვიტერში ერთ-ერთმა მგზავრმა განათავსა.

ამ ფოტოსურათმა 6,8 ათასი მოწონება მიიღო. თითქმის 14 ათასმა ის „რჩეულებში“ დაამატა.

აღსანიშნავია, რომ ძაღლის პატრონმა პირველი კლასის ორი ბილეთი შეიძინა, თავისთვის და ძაღლისთვის, თუმცა მთელი მგზავრობის დროს ძაღლი მის ფეხებთან მშვიდად იწვა.

ფოტოსურათის ავტორის თქმით, მგზავრების დიდი ნაწილი მთელი ფრენის დროს ჩურჩულით მსჯელობდა იმაზე, თუ როგორ შეიძლება, ცხოველი ასე გასუქდეს.

კ. ხ.

იუმორი

კაცი მანქანით მიდის და ისე, რომ ღერძულა ხაზი ბორბლებს შუა აქვს მოქცეული. ამ დროს უკნიდან საპატრულო მანქანა მიადგება და პატრული მიკროფონში უძახის:

– ბე-ემ-ვე, ეს გზა შენია მარტო, თუ რაშია საქმე?

●●●

ახალი რუსი მღვდელთან მიდის და ეუბნება:

– მამაო, კატა მომიკვდა და მინდა პანაშვიდი გადაუხადოთ.

– ვერა, შვილო ჩემო, არ შეიძლება.

– აბა, რა გავაკეთო?

– აგერ, ქუჩის მეორე მხარეს გადადი, იქ კომერციული ეკლესიაა, ისინი, ფულს თუ მისცემ, ყველაფერს გააკეთებენ.

– ნეტავ მეყოფა ფული, ჯიბეზე მხოლოდ ოთხი ათასი დოლარი მაქვს?

– კი მაგრამ, შვილო ჩემო, რატომ თავიდანვე არ მითხარი, შენი კატა მონათლული რომ იყო?!

●●●

რჩევა ქალებს:

„თუ გინდათ, რომ ინტიმური კავშირის დამთავრების შემდეგ, თქვენი ქმარი მაშინვე არ გადაბრუნდეს კედლისკენ, კედელზე დედათქვენის სურათი დაკიდეთ...“

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რომელი ტყვიაა ყველაზე საშიში?

– რა თქმა უნდა, ქალი.

– ეგ როგორ?

– მოგხვდება თვალში, დაგიჭრის გულს, დაგიზიანებს ნერვებს, დაგისუფთავებს ჯიბეს.

●●●

ქუჩაში მამაკაცი დადის და იძახის:

– აბა ვის უნდა გაზეთები, ჟურნალები, ეროტიკა, ანეკდოტები...

– ერთი გამვლელი ფულს გაუწვდის და ეუბნება:

– ანეკდოტები, თუ შეიძლება.

კაცი ფულს გამოართმევს, შეათვალიერებს, მერე ჯიბეში ჩაიდებს და ეუბნება:

– ე.ი. მომისმინე, ქმარი სახლში მივლინებიდან ბრუნდება...

– აუ, კიდევ კარგი, ეროტიკა არ მოვითხოვე, – გაიფიქრებს გაოგნებული მყიდველი.

●●●

ბიჭი გოგონას შესთავაზებს:

– ვიცეკვოთ?

– ხვრინავთ?

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი



თარაზულად: 5. მდინარის თევზი; 6. ტროპიკული მცენარე, სქელი, უფოთლო, ეკლებიანი ღეროთი; 8. კიდური; 9. საგუშაგო, სათვალთვალო პუნქტი; 10. გაზაფხულის თვე; 11. შინაური ცხოველი; 13. ვეშაპების რაზმის ცხოველი; 14. შაშხი; 16. ნათესების მავნებელი მწერი; 18. ჭია; 20. ცხენოსანი გვარდიელი ნაპოლეონის პირად დაცვაში ეგვიპტეში ლაშქრობისას; 21. პატარა სწრაფმავალი ტანკი.

შვეულად: 1. სურნელოვანი ნივთიერება; 2. უშნოდ მაღალი, აყლაყუდა; 3. რისამე საზომი, შაბლონი; 4. მაღაზიის ფანჯარა გასაყიდი საქონლის გამოფენილი ნიმუშებით; 5. ზღვის მოლუსკი გემრიელი ხორცით; 7. „კვირის ...“; 11. ბანქო; 12. ამერიკული ავტომობილი; 13. წერილობითი გამოწვევა დუელში; 14. ქიმიური ელემენტი; 15. ზღვის მეკობრე; 17. ერთგვარი მხატვრობა მშრალ კედელზე; 19. ფეხბურთის მეფე.

შეადგინა ოლივერ კოხიამ